

K 59.892
2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იძ. ლ. გასვიანი

ქართული
ბიბლიოთეკა

F

~~6. 190~~
2

~ ~ * ~ ~

კუთხეობა

მთა 30



საქმედგამი
თბილისი

ექიმი ვლ. ბასვიანი

Д-р В. ГАСВИАНИ



~~F-61190~~
K 59.892
22

კურორტი შოვი

КУРОРТ ШОВИ

3.5.14.

111 800000 19605



საქართველო
თბილისი
1948

615.838 (479.22)



სუბსტიტუციონალიზაცია

საქართველოს ენციკლოპედია

REPORT LIBRARY

სა 2000
საქართველოს ენციკლოპედია

საქართველოს ენციკლოპედია
საქართველოს ენციკლოპედია
საქართველოს ენციკლოპედია



762.00 10 10 40

რედაქტორისაგან

საქართველოს შესანიშნავ კურორტთა შორის ერთ-ერთი პირველი ადგილთაგანი უნდა დაეთმოს მაღალ მთიან კლიმატურ-ბალნეოლოგიურ კურორტ შოვს.

შოვი შესანიშნავია ბუნებრივ სიმდიდრეთა სიუხვით — მთის კლიმატით, მინერალური წყლებით, აუწყრელი სილამაზის უდაბური წიწვიანი ტყეებით, მუდმივი თოვლით შემოსილი ბუმბერაზი მთის მწვერვალებით და მთაგრეხილებით. ყველაფერი ეს და მრავალი სხვა დადებითი მაჩვენებლები უქმნიან შოვს განვითარების განსაკუთრებით მდიდარ პერსპექტივას.

წინამდებარე მეცნიერულ-პოპულარული მიმოხილვა „კურორტი შოვი“, წარმოადგენს ამ კურორტის შესახებ არსებული მასალის მოკლე კრებულს; იგი მკითხველს საშუალებას აძლევს გაეცნოს კურორტის ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებს, მის ძირითად ბუნებრივ-სამკურნალო ფაქტორებს — კლიმატს და მინერალურ წყლებს, მათ ფიზიკურ-ქიმიურ თვისებებს და როგორც ცალკეულ მათგანის, ისე მათი შეერთებული კომპლექსური გამოყენების მეთოდიკას სხვადასხვა დაავადებათა მკურნალობის საქმეში.

მიმოხილვაში მკითხველი ეცნობა აგრეთვე კურორტთან დაკავშირებულ მთელ რიგ ტურისტულ თვალსაზრისით მეტად საინტერესო სვლიგეზებს — მარშრუტებს, ისტორიულ ნაშთებს, ღირსშესანიშნავ ადგილებს და საბჭოთა ხალხის მიღწევებს ამ რაიონის ბუნებრივ სიმდიდრეთა ათვისებაში.

ბოლოს, მკითხველი ეცნობა კურორტ შოვის სამკურნალო ჩვენებებს და წინააღმდეგ ჩვენებებს და ამ კურორტის გეგმიანი განვითარების პერსპექტივებს.

აღნიშნული მიმოხილვა მნიშვნელოვან სამსახურს გაუწევს მკითხველებს—განსაკუთრებით ავადმყოფებსა და დამსვენებლებს—კურორტ შოვის მაღალხარისხოვან კლიმატურ-ბალნეო-თერაპიულ ფაქტორების რაციონალურად გამოყენებაში.

ამჟამად კურორტ შოვის შესახებ თითქმის სრულებით არ არსებობს რაიმე ხელმისაწვდომი მეცნიერულ-პოპულარული ხასიათის ლიტერატურა და ამ შრომის გამოცემა მეტად საჭირო და მიზანშეწონილია.

მოცემული შრომა გაამდიდრებს ჩვენს საკურორტო ლიტერატურას და საშუალებას მისცემს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას გაეცნოს და უფრო ფართოდ გამოიყენოს შოვის ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები, რომელთა მნიშვნელობა და სახელი მომავალში უეჭველად კიდევ უფრო მეტად გაიზრდება შოვი-უწერას საკურორტო კომბინატის სახით.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

საკურორტო * საქმე ცნობილია უძველეს დროიდან. ბერძნები ძველ დროში თავიანთ ტაძრებს აგებდნენ ულამაზეს ადგილებზე—მაღლობზე, ზღვის პირას. იქ ხალხი მიდიოდა არა მარტო სალოცავად, არამედ დასასვენებლად და სამკურნალოდაც.

რომის იმპერიაში სამკურნალო ადგილებს კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა მიეცა. კეისრებს თავიანთი ლეგიონერები მოთავსებული ჰყავდათ კურორტებზე და ზრუნავდნენ მათა ფიზიკური გაკაფებისათვის.

საშუალო საუკუნეებში საკურორტო მშენებლობა თითქმის არ ჩანს. შემდეგ კი—საფრანგეთში იგი აღმავლობას იწყებს, განსაკუთრებით მე-18 საუკუნიდან.

სამკურნალო ადგილები და წყაროები ცნობილი იყო საქართველოშიც ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის დასაწყისში. ქართველი გეოგრაფი-ისტორიკოსის ვახუშტი ბაგრატიონის შრომებში („საქართველოს გეოგრაფია“) აღწერილია თბილისის გოგირდიანი წყაროების აბაზანები, აბასთუმნის თერმული წყაროები, ატენის ხეობის წყალი და სხვ. ვახუშტი ეხება მინერალურ წყლებს, არა მარტო როგორც გარეგან გამოსაყენებელ საშუალებას, არამედ როგორც სასმელადაც ვარგისს.

„ღვალეთში (სამხრეთ-ოსეთი) არის წყაროები გამჟვირვალე, მარილიანი, მადის მომგვრელი და საჭმლის მონელების ხელისშემწყობი, სვამენ და ეძახიან მას მინერალურ წყალს, აგრეთვე ძლიერ სასარგებლოს საქონელთათვის“.

* კურორტი უცხო სიტყვაა და ნიშნავს სამკურნალო ადგილს. კურ—მკურნალობა, რტი—ადგილი.

ვახუშტი მინერალურ წყლებს ყოფს მარილიან და მწარე წყლებად. მას მოჰყავს ძლიერ საინტერესო ფაქტები საქართველოს მინერალურ წყლების შესახებ.

დიდ-გორის მთაზე არის წყარო, რომელიც კურნავს მალარიას, თუ ავადმყოფი სვამს და პირს იბანს ამ წყლით. ეს ადგილი იყო მეფეების საზაფხულო სადგომი.

დიდ-გორი მაშინ უთუოდ კურორტად ითვლებოდა.

შემდეგ ვახუშტის აღნიშნული აქვს სასუნებელი მიწის არსებობა „ხვწის პირის-პირ ლიახვის გადაღმა და უწერაში“.

„ონის პირის-პირ რიონის ჩრდილოეთ, მთის კალთასა შინა მალლა არს ძეგლევია... ამას ზეით არს დაბა უწერა რიონის ორსავე კიდეცა ზედა... აქვე არს მიწა, რომელსა უწოდებენ სასუნებლად, რამეთუ გარდაფრენილი ფრინველი მასზე ჩამოვარდების სუნისაგან“.

ვახუშტის ამ ცნობებს 1771 წელს საქართველოში მოგზაური აკადემიკოსი ან. გიულდენშტედტიც ადასტურებს:

„უწერაში სხვადასხვა მინერალური წყლებია, ზოგი ტუტოვანია, ზოგი რკინოვანი, სწორედ ისევე, როგორც მდ. თერგის პირას სიონსა და კობში, მეტადრე ერთი ტუტოვანი და ერთიც მის მახლობლადვე და ეკლესიის გვერდით მდებარე რკინოვანი არის საუცხოვო“. ამ სამკურნალო წყლების დიდ ღირსებად გიულდენშტედტის ის გარემოებაც მიაჩნია, რომ ერთიმეორეს გვერდით მდებარეობენ, „რადგან ქრონიკული დაავადების დროს ორივეა საჭირო და რკინოვან წყლის ხმარების შემდგომ უეჭველად ტუტოვან წყლით მკურნალობაა საჭირო“. ამავე მეცნიერის სიტყვით „ადგილობრივი მკვიდრნი უწერის ტუტოვან წყლებს ჩვეულებრივი სასმელი წყლის მაგიერ და პურის მოსაზელადაც ხმარობდნენ“ (აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი).

კურორტების ახალი ისტორია და მათი განვითარება ეკუთვნის მე-18 და განსაკუთრებით მე-19 საუკუნის

დასაწყისს, როდესაც დასავლეთ ქვეყნებში სწრაფად ვითარდებოდა სამრეწველო ბურჟუაზია.

ქალაქებისა და მრეწველობის მშენებლობასთან ერთად ბურჟუაზია კურორტების მშენებლობისათვისაც აბანდებდა საჭირო კაპიტალს. გერმანიასა, საფრანგეთსა და სხვა დასავლეთ ქვეყნებში კურორტები კერძო მესაკუთრეთა ხელში მოხვდა და მათი განვითარება მიმდინარეობდა ბურჟუაზიულ მოთხოვნილებათა შესაბამისად.

მეფის რუსეთში საკურორტო საქმის განვითარება დაკავშირებულია კავკასიისა და შუააზიის დაპყრობასთან. ამას მოჰყვა საკურორტო ადგილების აღმოჩენა და მათი გამოყენება სამხედრო ნაწილების სამკურნალოდ. ამას ადასტურებს კისლოვოდსკის, ჟელეზნოვოდსკის, ესენტუკისა და სხვა კურორტების ისტორია.

როგორც დასავლეთ ევროპაში, ისე მეფის რუსეთშიც ბურჟუაზია აწარმოებდა კურორტების მშენებლობას, მაგრამ საკურორტო საქმე ვითარდებოდა უგეგმოდ, ანარქიულად და ემსახურებოდა შეძლებულ კლასთა ინტერესებს. კურორტები მეფის რუსეთში მოსახლეობის ფართე მასებისათვის მიუწვდომელი რჩებოდა. ასეთივე მდგომარეობა იყო საქართველოშიც და მდგომარეობა კიდევ უარესი გახდა მენშევიკების ბატონობის წლებში, როცა საერთო ნგრევასთან ერთად გაპარტახდა საკურორტო ადგილებიც.

საქართველოში საკურორტო მშენებლობამ ნამდვილ გეგმიან განვითარებასა და აყვავებას მიაღწია მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ საკურორტო საქმე საბჭოთა კავშირში კაპიტალისტური მუხრუჭებისაგან გაანთავისუფლა და გეგმიანი სოციალისტური მშენებლობის ფართო გზაზე გამოიყვანა; თანახმად ლოზუნგისა— „კურორტები მშრომელებისათვის“—გაიშალა დიდი შემოქმედებითი მუშაობა საბჭოთა კურორტების გასაფართოებლად და ასაყვავებლად.

საბჭოთა კურორტების მშენებლობა იწყება დეკრეტის საფუძველზე, რომელიც გამოქვეყნდა 4 აპრილს, 1919 წელს.



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

„სამკურნალო ადგილები და კურორტები რუსეთის რომელ ტერიტორიაზედაც არ უნდა მდებარეობდეს და ვისაც არ უნდა ეკუთვნოდეს, შეადგენს რესპუბლიკის საკუთრებას და გამოიყენება სამკურნალო საშუალებად“.

შემდგომ წლებში საკურორტო მშენებლობა საბჭოთა კავშირში ვითარდება დიდი გაქანებით, უკვე 1926 წელს საკურორტო მშენებლობის მაჩვენებლები საგრძნობლად გაიზარდა 1913 წელთან შედარებით.

კურორტების ინტენსიური მშენებლობა მიმდინარეობს საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკაში.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 31 ოქტომბრის ისტორიული დადგენილებით ამიერკავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში გაიშალა ფართო საკურორტო მშენებლობა. უკვე 1932 წლიდან დაიწყო სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების მშენებლობა ისეთ ცნობილ კურორტებზე, როგორც არიან აბასთუმანი, ბორჯომი, შავი ზღვის სანაპიროს კურორტები (გაგრა, ახალი ათონი, ქობულეთი და სხვ.).

ქართველი ხალხის საამაყო შვილის ლ. პ. ბერიას უშუალო ხელმძღვანელობით მიღწეულ იქნა უდიდესი შედეგები საქართველოში საკურორტო მშენებლობაში და უზრუნველყოფილი იქნა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების პრაქტიკული განხორციელება.

საბჭოთა საქართველოს ტერიტორია მოფენილია კლიმატიურ და ბალნეოლოგიურ სამკურნალო და პროფილაქტიურ დაწესებულებათა ფართო ქსელით. მწყობრში ჩადგნენ ახალი კურორტები: წყალტუბო, საირმე, მენჯი, შოვი, ჯავა და სხვა, რომლებიც ცნობილია არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ ზოგიერთი მათგანი აღიარებულია მსოფლიო მნიშვნელობის კურორტადაც.

როგორც ვიცით საქართველოში მინერალური წყლებისა და კლიმატიურ საკურორტო ადგილების რაოდენობა უფრო მეტია, ვიდრე გერმანიასა და საფრანგეთში ერთად აღებული.

საბჭოთა კავშირის საკურორტო საქმის ორგანიზაციის თავისებურება გამოიხატება იმაში, რომ საკუ-

რორტო-სამკურნალო დახმარება ითვალისწინებს
მშრომელთა ფართე მასების მომსახურებას, ამიტო-
მაც ჩვენი, საბჭოთა კურორტები ძირითადად განსხვავ-
დებიან კაპიტალისტური ქვეყნების კურორტებისაგან.

საბჭოთა კავშირში საკურორტო-სამკურნალო დახ-
მარება არ წარმოადგენს ცალკე საქმეს, იგი მჭიდრო
კავშირშია ჩვენი გაშლილი სოციალისტური მშენებ-
ლობის ინტერესებთან და სოციალიზმის მშენებელთა
ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებულ საერთო
ამოცანებთან.

ყოველწლიურად ჩვენს კურორტებზე მკურნალო-
ბენ და ისვენებენ ასი ათასობით მშრომელები.

ჩვენში საკურორტო საქმე დაყენებულია ფართო
მეცნიერულ საფუძვლებზე, კურორტების მშენებლობა
და განვითარება ხდება გეგმიანად და მედიცინის უკა-
ნასკნელი სიტყვის მოთხოვნების მიხედვით.

1941—45 წლებში, სამამულო ომის პერიოდში, სა-
კურორტო მშენებლობის განვითარება დროებით შე-
ჩერდა. საბჭოთა კავშირის მრავალი კურორტი დან-
გრეული იქნა გერმანელ ფაშისტ ბარბაროსთა მიერ,
მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენმა კურორტებმა სამა-
მულო ომში შეასრულეს დიდი საპატიო ამოცანა; მათ
სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში მოწყო-
ბილი იყო საველე და ევაკო-ჰოსპიტლები, სადაც
მკურნალობდნენ ჩვენი დიადი საბჭოთა არმიის სახე-
ლოვანი მეომრები.

ახლა, როცა ჩვენი ქვეყანა კვლავ დაუბრუნდა მშვი-
დობიან მშენებლობას და შეუდგა ომით დანგრეულ
სახალხო მეურნეობის აღდგენასა და განვითარებას,
საკურორტო საქმეც კვლავ გამოცოცხლდა და იკავებს
თავის საპატიო ადგილს.

ახალი ხუთწლიანი გეგმით „მთლიანად უნდა აღ-
დგენილი იქნას დასასვენებელი სახლების და სანატო-
რიუმების ქსელი მუშებისა, გლეხებისა და ინტელი-
ჯენციისათვის. გადიდებული იქნას საწოლთა (ერთ-
დროული ყოფნის) რაოდენობა სანატორიუმებში 250
ათასამდე, ხოლო დასასვენებელ სახლებში 200 ათა-
სამდე“.

ის უდიდესი ამოცანები, რომლებიც დასახულია მე-
ოთხე სტალინურ ხუთწლიან გეგმით, უაღრესად დიდ
მნიშვნელობას ანიჭებს საკურორტო საქმის განვითარე-
ბას ჩვენში.

ის ყურადღება და მზრუნველობა, რომელსაც კუ-
რორტების განვითარებისადმი იჩენენ პარტია, მთავ-
რობა და პირადად დიდი სტალინი,—ჩვენი კურო-
რტების აღდგენის, ზრდის, კეთილმოწყობისა და მა-
თი მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების საწინდარია.

შოვისა და მისი მიდამოების მოკლე ფიზიკურ-ბეოგრაფიული მიმოხილვა

კურორტი შოვი მდებარეობს დასავლეთ საქართვე-
ლოში, ზემო რაჭაში. ის წარმოადგენს მეტად სანტე-
რესო პატარა ვაკე ფართობს, რომელიც გარშემორტ-
ყმულია თვალწარმტაცი მაღალი მთებით და მუდამ
თოვლით დაფარული მწვერვალებით.

ვის არ მოხიბლავს ამ შესანიშნავი ადგილის მშვე-
ნიერება?

რა საუნჯეა, რა სილამაზე:


ირგვლივ ყვავილთა
ნოხები მოსჩანს...

ამბობს შოვის სილამაზით აღფრთოვანებულ
პოეტი.

შოვში მოხვედრა შეიძლება სხვადასხვა მარშრუ-
ტით, რომელთაგან პირველ მარშრუტად ითვლება საავ-
ტომობილე გზა ქალაქ ქუთაისიდან, რომელიც მისდევს
მდინარე რიონის მარჯვენა ნაპირს. მარშრუტის მანძილ-
ზე ერთი მეორეს ცვლიან კირქვებისა და პორფირიტე-
ბისაგან შემდგარი თვალუწვდენელი სალი კლდეები,
ვიწრო ჭალები და კლდე-კარები.

147 კილომეტრის მანძილზე გზაზე გვხვდება მრავა-
ლი ბუნებრივი და ისტორიული ძეგლი.

ქუთაისიდან გავცდებით თუ არა სოფელ ჭომას, რომ-
ელიც ცნობილია სასოფლო-სამეურნეო ფერმით
(დაარსებულია ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დასაწყისში),



შოვის საერთო ხედი.

გზიდან მოჩანს დიადი სოციალისტური მშენებლობის უდიდესი დოკუმენტი—რიონჰესის დიდი საგუბარი.

ქუთაისიდან 30 კილომეტრის დაშორებით გზის პირას მდებარეობს წიფლარის ხევის ბარიტის სარეცხავი ცეხი, სადაც ბარიტის მადანი გადმოაქვთ საჭაერო-საბაგირო გზით.

სოფელ მექვენასთან ქუთაისიდან 36 კილომეტრის მანძილზე მოჩანს ხვამლის მთის კლდოვანი ქარაფები (ციცაბო კლდეები).

200 მეტრის სიმაღლის კირ-ქვის კლდეში გამოკვეთილია ხვამლის ხელოვნური გამოქვაბული, ამოშენებული თლილი ქვით. ამ გამოქვაბულზე მიდგომა ალპინისტური ტექნიკის გამოყენების გარეშე შეუძლებელია. გამოქვაბული გამოკვეთილია მე-12 საუკუნემდე და

როგორც ცნობილი ისტორიკოსი და გეოგრაფი კახუ-
შტი ბაგრატიონი აღნიშნავს,—წარმოადგენდა ქართ-
ველ მეფეთა განძთა საფარს შიშიანობის დროს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იმავე ავტორის გადმოცემით, მე-13 საუკუნის პირ-
ველ ნახევარში მეფე დავით ულუმ და დავით
ნარინმა (რუსუდან დედოფლის და გიორგი ლაშას
შვილები—თამარის შვილიშვილები) „გაიყვეს მეფე-
თა განძი დაცული ხვამლსა ქვაბსა შინა და ნაწილი
დატოვეს შიგ“. შესაძლებელია აქ განძი მართლაც იყო
დამალული მონღოლებისა და თურქ-სელჯუკების სა-
ქართველოში თარეშობის დროს, მაგრამ შემდეგ, გამო-
ქვაბულში ალპინისტური ჯგუფის ასვლის დროს, არ
აღმოჩნდა მატერიალური კულტურის არავითარი ნაშთი.

ასეთი ხელოვნური გამოქვაბულები გამოკვეთილია
სოფელ ტვიშის კლდეებში, რომლებიც ერთდროულად
იცავდნენ ვიწრო კლდე-კარს მტრის შემოსევისგან.

საირმის უღელტეხილის შემდეგ გზა გადის ქვი-
შარის, სადმელისა და ძირაგეულის შედარებით ფარ-
თო ჭალებზე. ამ მონაკვეთზე მოგზაურისათვის საინ-
ტერესოა ვენახის ზვრები, ხვანჭკარის თავისებური
განთქმული ვაზის ჯიშებით.

ამავე მიმართულებით ბუნებრივი ძეგლებიდან აღ-
სანიშნავია კარსტული გამოქვაბულები*.

დაბა ჭრებალოდან 10 კილომეტრის მანძილით და-
შორებულია სოფელი ცახი, იგი გაშენებულია მდინარე
რიონის მარცხენა ნაპირზე, სოფლის მახლობლად ცარ-
ცის კირ-ქვების კლდეებში ბუნებრივი კარსტული გა-
მოქვაბულებია, რომელნიც განვითარებულა კირქვებზე
წყალისა და ნახშირბეზავა ვაზის მოქმედების შედეგად.

გამოქვაბულს რამდენიმე კილომეტრის სიგრძე აქვს,
მღვიმეში განვითარებულია სხვადასხვა ფორმისა და
მოყვანილობის, ზოგჯერ ფრიად ფანტასტიური სტა-
ლაგტიტები.

ქვემო რაჭის რაიონული ცენტრიდან—დაბა ამბ-
როლაურიდან საავტომობილე გზა გადის მეტად ლა-

* კარსტებს უწოდებენ კირქვებში არსებულ ბუნებრივ გა-
მოქვაბულს.



მაზ შაორის ტაფობზე და წიწვიან ტყეებით, მუდამ მწვანე ბუჩქნარებით დაფარული, ნაქერალას უღელტეხილიდან ეშვება ტყიბულის ქვანახშირის მადაროებისაკენ.

გზაზე გაშენებულია სოფელი სინათლე (ნიკორწმიდა). იგი ცნობილია მე-12 საუკუნის შესანიშნავო არქიტექტურული ნაგებობით—ნიკორწმიდის ეკლესიით.

შაორის ამწვანებულ ტაფობზე მოედინება მდინარე შაორა (დიდ-ჭალა), ხერგამდე მდინარე მიედინება თიხიან ფიქლებზე (მერგელებზე), ხერგასთან მდინარე დენას იწყებს კირქვებზე, სადაც განვითარებულია კარსტული ძაბრები და „სასულეები“ (წყლის მოქმედებით კირქვებზე გაჩენილია მიწის ქვეშა სიცარიელები), მდინარე ჩადის ძაბრებში და იკარგება მიწის ქვეშ 2-3 კილომეტრის შემდეგ მდინარე ისევ გამოჩნდება მიწის ქვეშა დინებიდან და ჭელიშის მონასტრის (უდაბნო) ქვემოთ იგი მოედინება შარეულას სახელწოდებით.

აღსანიშნავია, რომ ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა შაორას წყლის დაგუბებისათვის შაორის ტაფობში, საიდანაც წყალი გადაშვებული იქნება ტყიბულისაკენ და რამდენიმე ასეულ მეტრზე ვარდნით მოგვცემს ერთერთ უმძლავრეს ჰიდრო-ელექტრო სადგურს. შაორის ტაფობზე კი გაჩნდება ვრცელი ტბა.

85 კილომეტრის დაშორებით ქუთაისიდან გზა შედის ცნობილ ხიდიკრის კლდე-კარში. აქ მდინარე რიონი შევიწროებულია კირქვის ციცაბო კლდეებს შორის ორი ათეული მეტრის სიგანემდე. კლდე-კარის შესავალში მდინარის ორთავე მხარეზე სადარაჯო ციხესიმაგრეა აშენებული საშუალო საუკუნეებში. აქ მე-18 საუკუნეში რაჭის ერისთავს მოწყობილი ქონია საბაჟო, რომელსაც გზას ვერსაიდან აუქცევდენ.

ხიდიკრის კლდე-კარიდან 3-4 კილომეტრის მანძილის დაშორებით ბარაკონის ციხე-სიმაგრეა (სოფელი წესი), ისტორიული ძეგლებიდან აქ დარჩენილია რაჭის ერისთავის სასახლე და მეტად ლამაზი ბარაკონის ეკლესია, ცნობილი თავისი არქიტექტურული სტილით,

აგებული მე-18 საუკუნეში. ბარაკონის სასახლეს თავზე დაჰყურებს მდინარე ლუხუნის პირად კლდე-ვან საფუძველზე აგებული, ძნელად მისადგომი „ძინა და ციხე“, თავისი მრავალი განყოფილებებითა და კომ-კით. ხალხური გადმოცემით ეს ციხე რაჭის ერისთავმა ააგო, მაგრამ იგი გაცილებით ძველი უნდა იყოს და უნდა მიეკუთვნოს საშუალო საუკუნეების ადრიან პერიოდს.

ბარაკონიდან 6 კილომეტრის დაშორებით სკოდრის კლდე-კარში გამოკვეთილია ხელოვნური გამოქვაბულები, რომლებსაც ბარაკონის მისადგომების დასაცავად იყენებდნენ.

ქუთაისიდან 117 კილომეტრის დაშორებით, რიონის მარცხენა ნაპირზე გაშენებულია ზემო-რაჭის რაიონული ცენტრი—ქალაქი ონი. ეს საკმაოდ ძველი ისტორიული დაბა საინტერესოა იმით, რომ იგი მდიდარია მუშავე წყლებით. ონის მახლობლად სოფ. შოუბნის ახლო, სამხედრო გზის პირას, ვხვდებით ტუტე წყლების გამოსასვლელებს, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა კუჭის დაავადების სამკურნალოდ იყენებს.

ტურისტული ძეგლსაზრისით ონი მარშრუტების კვანძს წარმოადგენს. მდინარე ჯეჯორის ლამაზი ხეობით შესაძლებელია სოფელ ჩასავალში ჩასვლა.

ჩასავლიდან ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით გზა გადადის მეტად ლამაზი ბუნებით შემკულ მდელოებზე, ერწოს ტბაზე, საიდანაც მოკლე გზით შესაძლებელია ქალაქ სტალინირში ჩასვლა, იქიდან კი გორსა და თბილისში. ეს გზა უმოკლესი მანძილია ქალაქ თბილისიდან კურორტ შოვამდე.

მეორე გზა ჩასავალიდან ალპინისტურ-ტურისტული ხასიათის ბილიკებით მისდევს ჯეჯორის ხეობას სოფელ ლეთამდე. აქედან ძეძოს უღელტეხილით შესაძლებელია სოფელ ზარომაგში გადასვლა, კარასნის ხეობაში (ჩრდილო-ოსეთი). ჯეჯორის ხეობას თავზე დასცქერის თოვლიან-ყინულიანი მწვერვალები—საუხოხი, ხალაწა და ზეკარი.

ონიდან სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით სოფელ შქმერთ გზა გადადის საჩხერეში, სადაც კრისტს შეუძლია ერთი დღის განმავლობაში გადაკვეთოს რაჭის მთების ამწვანებული მდელოები და მოხვდეს ყვირილის ხეობაში.

ონიდან 13 კილომეტრის დაშორებით გაშენებულია ცნობილი სააგარაკო სოფელი უწერა, რომელიც განთქმულია ტუტე-ნახშირმუცა გაზიანი წყლებით. უწერას თავზე დასცქერის ეგრედწოდებული ბროლის მთა. ამ მთაზე ქვიშა-ქვების წყებაში მოიპოვება კრისტალური მთის ბროლი. კრისტალების დრუხები ზოგჯერ რამდენიმე კილოგრამებით განიზომება. ბროლის მთა ადვილი მისადგომია და მასზე ხშირად აღიან ექსკურსანტები. ამ მთიდან იშლება მშვენიერი ხედი—რაჭის კავკასიონის აღმოსავლეთ ნაწილზე, სადაც აზიდულია ყინულოვანი მთები.

სოფელ უწერის ჩრდილოეთით გზის პირას დგას „ჭიდრო ციხე“, რომელიც იცავდა სოფელს ჩრდილოეთის მხრიდან. სოფელი საინტერესოა აქ დარჩენილი ე. წ. „დუროიანი“ სახლებით, რომლებიც ერთდამავედროს წარმოადგენენ საცხოვრებელ სახლებსა და ციხე-სიმაგრეებსაც თავის მრავალი სათოფურებითა და სქელი ასპიდური ფიქლებისაგან გაშენებული კედლებით. ასეთი „დუროიანი“ სახლებისა და ციხე-სიმაგრეების მეტი ნაწილი შერჩენილია სოფელ ღებშიც.

უწერიდან 6 კილომეტრის დაშორებით საგლოლოს ხიდიდან გზა გადადის რიონის მარცხენა ნაპირზე და წიწვიანი ტყის ზოლით მიჰყვება მდინარე ჭანჭახს შოვის მიმართულებით. საგლოლოს ხიდიდან მდინარე რიონის ხეობაში გაშენებულია სოფლები: ჭიორა და ღები. ტურისტული ჯვალსაზრისით ეს კუთხე მეტად საინტერესოა. აქ რაჭის კავკასიონის ქედზე აღმართულია უმაღლესი მწვერვალები—ფასის მთა (3780 მეტრი), გეზე (3880 მეტრი), ედენა (3816 მეტრი), ლაბოდა (4200 მეტრი), წითელი, თაიმაზი, ციხვარგა, ბურჭული და აგრეთვე რაჭის უდიდესი მყინვარები: ედენა, ზოფხიტურა, კირტიშო, ციხვარგა და სხვა.


ჭიორიდან და ლებიდან ტურისტს შეუძლია თო-
ვლიან-ყინულოვანი უღელტეხილით ლების გადასავა-
ლით (3550 მეტრი) და ციხვარგის უღელტეხილით
ალპინისტური ბილიკით გადავიდეს მდინარე ურუსის
ხეობაში. გეზეს გადასავლით რიონის სათავეებიდან
გზა (ბილიკი) გადადის ჩერეკის ხეობაში, ხოლო ვა-
ცის წვერის გადასავლით რაჭიდან შეიძლება სვანეთ-
ში მოხვედრა. ყველა ეს მაღალ-მთიანი მარშრუტი
საინტერესოა თავის მრავალფეროვანი პეიზაჟებით,
ალპიური მდელოებით და თოვლ-ყინულის სამყაროთი.

საგლოლის ხიდსა და შოვს შორის მდებარეობს
სოფელი გლოლა, სადაც წვეტოვან ბორცვზე აშენებუ-
ლია ძველთა-ძველი ეკლესია, ძველი მხატვრობის ნი-
მუშეებით. საინტერესოა სოფლის ისტორია იმ მხრივ,
რომ, როგორც მოსახლეობა გადმოგვცემს, ძველად,
ისინი სახლობდნენ შოვის ჩრდილოეთით—ბუბის მთა-
ზე. რაჭის ფეოდალის ძალდატანებით დამარცხებული
გლოლელები გადმოუსახლებიათ დღევანდელ ადგილზე,
რის გამოც მოსახლეობამ 8 წელს იგლოვა; აქედან
წარმოიშვა სახელი „გლოვა“-ც, რომელიც შემდეგ გა-
დაკეთდა გლოლად. გლოლის სამხრეთით დოლამისის
მწვერვალის კალთებიდან იშლება შესანიშნავი ხედი
მთავარ კავკასიონზე. საკმარისია ტურისტული ბაზიდან
ავიდეთ 600-800 მეტრის სიმაღლეზე დოლამისის მი-
მართულებით და მოგზაურის, ექსკურსანტის წინა-
შე აღიმართება ბუბისა და თბილისას თოვლით და
მყინვარებით შემოსილი მწვერვალები, ყარაუომის
პლატოზე ამართული ადაიხოხის მწვერვალთა ჯგუფი
და სხვა მწვერვალები, რომლებიც გრძელდებიან და-
სავლეთისაკენ.

გლოლიდან სამი კილომეტრის დაშორებით—ნა-
ძვის, ჩიხრის და სოჭის დაბურულ ტყეებით შემოსაზ-
ღვრულ ვაკე-ფართობზე გაშენებულია ცნობილი კუ-
რორტი შოვი.

შოვი მოთავსებულია ალპიურ ზონის საზღვარზე
1600 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონედან და ხასიათ-

დება შემდეგი გეოგრაფიული კოორდინატებით: სიგანედი 42⁰, 43, სიგრძედი 42⁰, 40¹ გრინვიჩის მერიდიანიდან. ბუნებრივ სილამაზესთან და ასწლოვან რულ წიწვიან ტყეებთან ერთად აქ ყურადღებას იქცევს მრავალნაირი მინერალური წყაროები, რომლებიც დაკავშირებული არიან ამ რაიონის გეოლოგიურ აგებულებასთან.



შოვის საერთო ხედი.

K 59.892
6.99

შოვის მიდამოებში ძირითადად განვითარებულია იურის ხნოვანობის ძირითადი ფიქლების წყება, რომელიც აღმოსავლეთით მთისაკენ გადადის კარბონატულ ქვიშა-ქვებში. იურის ფიქლები განლაგებულია ლისა-ბუბის მწვერვალების ძველ გრანიტულ ქანებზე.

შოვის რაიონში რღვევის ზოლთან დაკავშირებული ნურ კერების არსებობასთან გენეტიურ კავშირში უნ-

2- კურორტი შოვი

ს ა შ ა რ თ ვ ე დ
3 ა რ ლ ა 8 0 6 0
მ რ თ ვ 5 7 0 0
8 0 8 0 0 0 0 0 0 0



და იყოს მინერალური წყლების გამოსასვლელები, რომლებიც აქ ბლომად მოიპოვებიან ტუტე ნახშირმჟავა გაზიანი წყაროების სახით. თვით შოვის ტერიტორია ამოვსებულია ოდესღაც არსებული ბუბის მყინვარის მიერ დატოვებული გლაციალური (ანუ მყინვარეული) ნალექებით.

მთელი საკურორტო ზონა მოქცეულია კავკასიონის მთების სამხრეთ ფერდობზე. მთავარი ქედის იმ ნაწილს, რომელიც აღმართულია კურორტის ჩრდილოეთით—ეწოდება რაჭის კავკასიონი. ეს უკანასკნელი სვანეთის კავკასიონთან ერთად წარმოადგენს მთავარი ქედის შუა და ყველაზე მაღალ ნაწილს. ეს ქედი ბუნებრივი ზღუდეა, რომელიც დასავლეთ საქართველოს ჩრდილოეთის ცივი ქარებისაგან იცავს.

შოვის საკურორტო ზონის თოვლის მარადიული ხაზის საზღვარი უდრის 3100 მეტრს. მთავარი ქედის დასავლეთ ნაწილისათვის დამახასიათებელია მყინვარების ლანდშაფტი, რომელიც ზოგ ადგილებში 2200—2800 მეტრზე ჩამოდის.

მყინვარებიდან აღსანიშნავია მუდამ თოვლით დაფარული ბუბის მთა, რომელიც ლამაზად და მედიდურად გადმოჰყურებს შოვსა და მის მიდამოებს.

ბუბისა და ყარაუგომის ყინულოვანი მთები მდებარეობენ ჩრდილოეთით და ჰყოფენ ჩრდილო და ამიერკავკასიას ერთმანეთისაგან.

საღმოსავლეთ მხარეს ამშვენებს მამისონის ყინულოვანი მთა, საიდანაც იწყება მდინარე ჭანჭახი. მამისონის მთის აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მდებარეობენ მთელი რიგი მწვერვალები: ბუბის მწვერვალი, ღვიორა, ჩხონჩა, დოლომის წვერი, და ბოლოს შოვის ყინულოვანი მთებიდან ყველაზე ლამაზი შაქრის თავა და კატის წვერა.

დასავლეთით აღმართულია რაჭაში მუდამ ყინულით დაფარული—მაღალი მთა—შოდა, რომელიც კავკასიონის ქედს უერთდება.

კავკასიონის ქედის სამხრეთ ფერდობებთან სათავეს იღებს მთის მრავალი მდინარე, ყველა ისინი მდინარე რიონს უერთდებიან. ამ მდინარეთა სათავე მუდმივი თოვლისა და მყინვარების ზონაში იწყება; ეს მდინარეები მდიდარია წყლის მარაგითა და გემრიელი კალმანით.

რაჭის კავკასიონის პარალელურად გაწოლილია შოდა-კედალას ქედი, რომლის სიმაღლე ცოტათი ხაკლებია რაჭის კავკასიონზე, მაგრამ მისი საშუალო სიმაღლე მაინც მუდამ თოვლის ხაზზე მაღლა ძევს, რის გამო ამ მთების მწვერვალები მუდამ თოვლითაა დაფარული.

ზამთრის სეზონში შოვი წარმოადგენს მეორე მნიშვნელოვან საზამთრო სათხილამურო სადგურს (ბაკურიანის შემდეგ) თავისი სუფთა, ჯანმრთელი ჰავითა და მშვენიერი თოვლის საბურველით. ორივე ქედის ფერდობი დაფარულია მთლიანი თვალუწვდენელი ტყეებით—დაახლოვებით 1.900 მეტრის სიმაღლეზე ტყის ზოლი 2.000 მეტრის სიმაღლის შემდეგ გადადის ალპიურ ზონაში. ალპიური ზონა 2.700—3.000 მეტრის სიმაღლის შემდეგ გვირგვინდება თოვლის ზონით.

რაჭის კავკასიონის თოვლიან-კლდოვანი მწვერვალები ცნობილია გარეული ცხოველებითაც. აქ ბინადრობენ კავკასიის ცნობილი ჯიხვები პატარ-პატარა ჯოგების სახით, ზოგჯერ გვხვდება არჩვებიც. საღამოობით ჯიხვების პატარ-პატარა ჯოგები ჩამოდიან ალპიურ მდელოზე საბალახოდ და მინერალური წყლების (ვეძა) დასალევად, სადაც, ჩვეულებრივ, გარიჟრაჟამდე რჩებიან.

ალპიურ მდელოებზე ჭუკჭუკებენ შურთხები (მთის ინდაურები), როჭო და გარეული ქათმები. ტყიან ზონაში ხშირად გვხვდება მურა დათვი და მელა, ხშირია კურდღლები, რომლებიც კურორტის ირგვლივ მდებარე მინდვრებზე გამოდიან.

მიუხედავად იმისა, რომ კურორტი შოვი გარემოცულია მაღალი მთებით, მას ახასიათებს ჰორიზონტის გახსნილობაც სამხრეთ-აღმოსავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით, რაც უდავოდ ახ-

დენს საგანგებო გავლენას შოვის ტემპერატურულ რეჟიმზე და სხვა კლიმატურ ფაქტორებზე.

შოვის საკურორტო კომბინატის შემადგენლობაში შედის შესანიშნავი ბალნეო-კლიმატური კურორტი უწერა და აგრეთვე გლოლა და ჭიორა. მთელი ამ ტერიტორიის ორი მესამედი ნაწილი ტყეს უჭირავს, დანარჩენი კი საძოვრებსა და მყინვარებს.


შოვიდან მამისონის უღელტეხილის მიმართულებით 16 კილომეტრის მანძილზე გზა გადის ტყეებით დაბურულ კალთებზე; წიწვიანი ტყის ჯიშებიდან აქ გვხვდება სოჭი, ფიჭვი, ნაძვი; ფოთლოვან მცენარეებიდან აღსანიშნავია წიფელა, რცხილა, თხმელა, მუხა, არყის ხე, შვინდის ხე და სხვა.

მცენარეების ასეთი მრავალფეროვანება კიდევ უფრო ჰარმონიულს და მიმზიდველს ხდის შოვის მიდამოებს.

სოფელ ღურშევიდან იწყება აღმართები, სადაც გზა იკეცება და მიიმართება ალპიურ საძოვრებში მამისონის უღელტეხილამდე (2.850 მეტრი). ვრცელი ამფითეატრისებური მოვაკება მამისონის უღელტეხილს წინ ამოვსებულია მყინვარული მორენებით (ლოდებით) და ნალექებით. ვაკეზე აგებულია ტურისტული ქოხი (ე. წ. სამხრეთის ქოხი), თვით უღელტეხილი შეუმჩნეველ ამალღობას წარმოადგენს. უღელტეხილზე მუშაობს მეტეოროლოგიური სადგური. ჩრდილოეთის მხრივ გზა ეშვება ნაზად დახრილ ალპიურ მდელოებით შემოსილ ფართობზე ჩრდილოეთის ქოხამდე. უკანასკნელი აგებულია გზის პირად უღელტეხილიდან 15 კილომეტრის დაცილებით და თავზე დასცქერის ზარომავის ხეობაში გაშენებულ ჩრდილოეთის სოფელს—ქალაქას.

ცხადია, მარტო გეოგრაფიული და ტოპოგრაფიული აღწერილობით ძნელია შოვის ყველა სილამაზისა და კლიმატურ-ბალნეოლოგიური ღირსებების წარმოდგენა, მისი აღწერა მხოლოდ კარგი მხატვრის

ჯალამს თუ შეუძლია! დამსვენებელი და მნახველები აღფრთოვანებული რჩებიან შოვის სიმშვენიერით. შოვი ერთერთი უმშვენიერესი თვალწარმტაცი ადგილია საქართველოში. ვის არ მოხიბლავს შოვის ხუჭუჭა ტყეები, მაღალი, ყინულოვანი მთები და იქიდან მოჩუხჩუხე ანკარა მდინარეები, მუდამ კაშკაშა ცა, სურნელოვანი ჰაერი, მყუდროება. შოვი ყველა მისი საუკეთესო სამკურნალო თვისებებით უდავოდ მსოფლიო მნიშვნელობის კურორტია; ის საყვარელი ადგილია, როგორც დამსვენებელთათვის, ისე ტურისტებისა და ექსკურსანტიებისათვის.




კურორტ შოვის ერთერთი დასასვენებელი სახლი.

მოკლე ისტორიული ცნობები

საქართველო ცნობილია ისეთი საკავშირო მნიშვნელობის კეთილმოწყობილი კურორტებით, როგორიცაა წყალტუბო, ბორჯომის ჯგუფის კურორტები, აბასთუმანი და შავი ზღვის სანაპიროს კურორტები: გაგრა, ახა-

ლი ათონი, ქობულეთი და სხვა. მაგრამ საქართველოში ისეთი კურორტებიცაა, რომლებიც თავისი სამკურნალო თვისებებით არ ჩამოუვარდება ზემოაღნიშნულ საკავშირო მნიშვნელობის ცნობილ კურორტებს.

ერთერთი ასეთი კურორტია შოვი-უჭერიპ სამკურნალო კომბინატი, რომელიც მდებარეობით, სილამაზით და კლიმატურ-ბალნეოლოგიური ფაქტორებით მთლიანად უპასუხებს კომპლექსური მკურნალობის ყველა მოთხოვნას.



კუროტ შოვის სანატორიუმი № 1.

შოვი ახალგაზრდა კურორტია, ის საბჭოთა ხელისუფლების პირმშო შვილია.

შოვის, როგორც კურორტის შესწავლა და მშენებლობა იწყება 1923 წლიდან, მანამდე შოვის მიდამოები მისი გარშემო მყოფი სოფლების მცხოვრებთა და ოსეთის სამხედრო გზით მიმავალ მგზავრთა ყურადღებას იპყრობდა ბუნების სილამაზით და ჰინერა-

მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს სასტუმრო 12 ოთახით, კურორტისაგან განცალკევებით მოწყობილია ტურისტთა ბაზა. აღნიშნულ შენობათა გარდა კურორტის ტერიტორიაზე ლამაზად გაფანტულია: ორსართულიანი და სასვენებელი 14 სააგარაკო სახლი 42 ოთახით, ცენტრში აღმართულია ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი — კურორტის დირექციის სამმართველო, აქვე თანამშრომელთა საცხოვრებელი ბინებია, პოლიკლინიკა შემდეგი კაბინეტებით: თერაპიული, კლინიკურ-დიაგნოსტიკური ლაბორატორია, სამკურნალო ფიზკულტურისა და სტომატოლოგიური კაბინეტები, სანიტარული სადგური, აფთიაქი. კურორტს მომსახურებას უწევს მთელი რიგი კულტურული და კომუნალური დაწესებულებები: კულტურისა და დასვენების პარკი — კლუბით, ბიბლიოთეკით, კინო-ესტრადით და კიოსკებით, ფოსტა-ტელეგრაფი, ტელეფონი, შემნახველი სალარო, ავტო-ტრანსპორტის სადგური, ჰიგიენური აბანო, სამრეცხაო, კანალიზაცია, მეტეოროლოგიური სადგური, ჰიდრო-ელსადგური, წყალსადენი, ხე-ტყის სახერხი ქარხანა, პურის საცხობი და სხვა.


დამხმარე მეურნეობიდან აღსანიშნავია 21 სკა ფუტკარი და მიწის ნაკვეთი ბოსტნეულისათვის.

სანატორიუმები და კურორტის დამხმარე შენობებო უკავშირდებიან ერთმანეთს კეთილმოწყობილი შიგა საკურორტო გზატკეცილით.

1940-41 წწ. დამთავრდა კურორტ შოვის გენერალური დაგეგმვის პროექტის შედგენა კურორტის შემდგომი მშენებლობისა და კეთილმოწყობისათვის, მაგრამ ამ გეგმის ცხოვრებაში გატარება შეაჩერა 1941 წელს ჩვენს სამშობლოზე გერმანელ ფაშისტების ვერაგულმა თავდასხმამ. სამამულო ომის პერიოდში შოვში დაბანაკებული იყო საბჭოთა არმიის ნაწილები და კურორტი ძალიანად ემსახურებოდა სამხედრო თავდაცვითი მიზნებს. ერთ-ერთ სანატორიუმში გახსნილი იყო საველე ევაკო-ჰოსპიტალი, სადაც ჩვენი სახელოვანი არმიის მეომრები მკურნალობდნენ.

სამამულო ომის პერიოდში კურორტის ნაგებობე-

ბი და ინვენტარი გაცვდა და ზოგი მათგანი გამოვიდა წყობიდან. საჭირო იყო შეკეთება, ამიტომ ომის შემდგომი პირველი წლის საკურორტო სეზონის მომზადება და ჩატარება მოითხოვდა კურორტის ხელმძღვანელებისაგან (დირექტორი ამხ. ს. შ. ყურაშვილი) მეტად სერიოზულ და ენერგიულ მუშაობას.



კურორტ შოვის კურხალის შენობა.

1946 წ. საკურორტო სეზონის გახსნისათვის მომზადებულ იქნა პირველი სანატორიუმი და პოლიკლინიკური ავადმყოფებისათვის ცალკე დასასვენებელი აგარაკები. აღდგენილ იქნა დამხმარე ნაგებობები, შეკეთდა სასტუმრო, პოლიკლინიკა, რენტგენის კაბინეტი, აფთიაქი, კავშირგაბმულობის განყოფილება, წყალსადენი, კანალიზაცია, ელ-გაყვანილობა და სხვა.

საკურორტო სეზონის გახსნასთან დაკავშირებით არსებულ ნაკლოვანებათა დროულად გამოსწორებისათვის კურორტს ყოველგვარ დახმარებას და

ხელმძღვანელობას უწევდნენ ზემდგომი ორგანოების
რის შედეგადაც კურორტზე იმკურნალა და დაისვენა
მრავალმა მშრომელმა და სეზონი ჩატარდა კარგი
ჩვენებლებით.

დღეს კურორტი შოვი რესპუბლიკური მნიშვნე-
ლობისაა, მისი შემდგომი განვითარება და ზრდა გამოი-
ყვანს მას პირველხარისხოვან საკავშირო მნიშვნელობის
კურორტთა რიგში.

კლიმატი

შოვი, როგორც პირველხარისხოვანი კლიმატური
კურორტი უნდა ჩავაყენოთ იმ კურორტთა რიგებში,
რომელთაც მსოფლიო მნიშვნელობა აქვთ (დავოსი,
ლეიზენი, აროზა და სხვა). შოვის მდიდარი და ლამაზი
ბუნება, მისი ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები და
კლიმატური კომპლექსი მას ისეთ მნიშვნელოვან ჯან-
მრთელობის კერად ქმნის, სადაც ავადმყოფი აუცილე-
ბლად მიიღებს მკურნალობისა და დასვენების მაღალ
ეფექტიანობას.

ყველა კლიმატურ კურორტს მოეთხოვება, რომ
ჰაერი იყოს სუფთა, არ შეიცავდეს მტვერს და კვამლს,
არ უნდა იყოს გაბინძურებული ავადმყოფობის გამომ-
წვევი ბაცილებით. ყველაზე სუფთა და ჯანმრთელი
ჰაერი არის მთებში, ზღვის პირას, ტყეებსა და ველებში.

ჰაერი უნდა ხასიათდებოდეს თანაბარი ტემპერატუ-
რით, მკვეთრი მერყეობის გარეშე, რადგან სიცვიისა და
სითბოს სწრაფი ცვლა ცუდად მოქმედებს ავადმო-
ფებზე, რომლებიც ვერ ეგუებიან ასეთ ხშირ ცვლილე-
ბას და ხშირად ცივდებიან.

ჰაერის სამკურნალო მნიშვნელობა ბევრად დამოკი-
დებულია მისი სინესტისაგან.

თუ ჰაერში ბევრია სინესტე—ავადმყოფი ცუდად
გრძნობს თავს, თუ სინესტე დაბალია და ჰაერი ძლიერ
მშრალი ხდება,—ასევე ცუდად მოქმედობს ორგანიზმზე.

ჰაერის ნორმალური სინესტე ყველაზე მეტად
სასარგებლოა.

ნორმალური ნესტიანი ჰაერი უფრო მეტად ზღვე-
ბის და ტბების პირასაა და ეს ადგილები ხასიათდებიან
კარგი სამკურნალო თვისებებით.

თუ სინესტე ძალიან ბევრია და ჰაერიც თბილია—
მაშინ ადგილი აქვს დახუთულობას.

ჰაერის სამკურნალო თვისებებზე გავლენას ახ-
დენს: ქარები, წვიმები, წნევა და მასში ელექტრობის
არსებობა. თუ ქარები სრულებით არ არის—ჰაერი მა-
ლე ჭუჭყიანდება და ფუჭდება, თუ ქარები ძლიერია
ისინი აღიზიანებენ ადამიანის ნერვულ სისტემას და
ასუსტებენ ორგანიზმს.

თუ ჰაერის წნევა მცირეა, როგორც ამას ადგილი
აქვს მაღალ მთებში—იქ ჰაერი გაიშვიათებულია, ავად-
მყოფი სუნთქავს ღრმად, ფილტვები ფართოვდება,
სისხლის მიმოქცევა ძლიერდება და ავადმყოფი კარგად
გრძნობს თავს.

ზემომოყვანილი კლიმატური კომპლექსი, რომელიც
მოეთხოვება კლიმატურ კურორტს,—განსაკუთრებული
სიმდიდრით მოცემულია შოვში.

თავისი გეოგრაფიული მდებარეობით შოვს უჭი-
რავს ისეთი ზონა, რომელიც დაცულია ქარებისაგან—
მიუხედავად მისი სიმაღლისა. საერთო რელიეფი, მდე-
ბარეობა, სიმაღლე, გარემო ბუნება და სხვა, კლიმა-
ტთან ერთად ქმნის ადამიანის ორგანიზმისათვის კომ-
ფორტულ პირობებს.


თავისებური ისიც არის შოვისათვის, რომ აქ კუ-
რორტის ტერიტორიის სხვადასხვაობასთან დაკავშირე-
ბით ჩვენ ვხვდებით მიკრო-კლიმატურ მრავალფეროვა-
ნებას: ხეობის კლიმატი, პლატოს კლიმატი, ალპიური
ველების კლიმატი, ტყის კლიმატი და გაშლილი მინდვ-
რების კლიმატი. აი ასეთია კურორტ შოვის მდიდარი
კლიმატური ვარიაციები.

შოვს ახასიათებს ქვიშიანი ნიადაგი, რომლის
სტრუქტურა და ფიზიკური თვისებები ხელს უწყობს
სითბო-სინესტის ნორმალურ ბრუნვას. ის შედარებით
მცირე ნალექი, რომელიც მოდის შოვში, იფილტრება

ქვიშა-ნიადაგში. ქვიშიანი ფენა ძლიერ ჩქარა შრება,
რის გამოც შოვში თითქმის სრულებით არ იცის ტალღა-
ნი. ნიადაგის სტრუქტურა და მცენარეული საფუძველი
ზელს არ უწყობს ჰაერის გამტვერიანებას.

შოვის ჰავა შედარებით თბილი—საშუალოდ ნეს-
ტიანია.

მთიან ადგილებში დიდი კლიმატური მნიშვნელობა
აქვს ფიონების მოქმედებას, რომლებიც ეშვებიან
მთის მწვერვალებიდან.



კურორტ შოვის სანატორიუმი № 2.

კავკასიონის ქედი თავისი მდებარეობით გზას უჭრის
ჰაერის იმ მასებს, რომლებიც მოედინებიან განსაკუთ-
რებით ჩრდილოეთ-აღმოსავლეთიდან; როდესაც ეს დი-
ნებები შეეხებიან კავკასიონის ჩრდილო კალთებს,
ისინი მალლა აყვებიან ხეობებს და ქედებს, რომლის
დროსაც ისინი ადიაბატურად ცივდებიან. მიაღწევენ
რა მალალ მწვერვალებს, ისინი იწყებენ დაღმა დენას,

რომლის დროს თბებიან და შორდებიან გაუღებთილო-
ბის საზღვარს. მაღლა ასვლის დროს ტემპერატურის
დაცემის გრადიენტი უდრის $0,5^{\circ}$. (დასაწყისში, სანამ
ის არ არის გაუღებთილი, ყოველ 100 მეტრზე გრადი-
ენტი უდრის სრულ 1° -ს), დაბლა დაშვების დროს კი
გრადიენტი უდრის 1° 100 მეტრზე.

შოვის საკურორტო ზონა იმყოფება ფიონების
გავლენის ქვეშ, ის მდებარეობს ჰაერის მასების მოძ-
რაობის იმ გზაზე, რომლებიც გადმოლაზავენ კავკასიო-
ნის ქედებს. შოვის პირობებში ფიონები მოქმედებენ,
როგორც გამათბობელი ფაქტორი და მასთან ახდენენ
გავლენას სინესტის მდგომარეობაზე ჰაერში და აქვეი-
თებენ მას.

დანარჩენ ფიზიკურ-გეოგრაფიულ ფაქტორებიდან
უნდა შევეხეთ პორიზონტის გაშლილობას, რომელიც
ერთი ძირითადი კლიმატშემქმნელი ფაქტორთაგანია და
განსაზღვრავს მზის პირდაპირ მოქმედების ხანგრძლი-
ვობას და ჰაერის დინების მიმართულებას.

* * *

შოვში მეტეოროლოგიური სადგური მოეწყო და
მეტეოროლოგიური დაკვირვება დაიწყო 1928 წლიდან.
ჩვენ ქვემოთ მოგვყავს მონაცემები მეტეოროლოგ გ.
ჭირაქაძის დაკვირვებებიდან.

შოვი ეკუთვნის მაღალ მთიან საკურორტო ზონას.
ბარომეტრული წნევა აქ საშუალოდ 630 მმ უდრის. მი-
უხედავად მისი მაღალი მდებარეობისა, კურორტი ხა-
სიათდება სითბოს უტვი ბალანსით. როგორც ცნობილია,
მზე ძირითადად წამყვანი ბიოკლიმატური ფაქტორია
და ამის გამო მისი ნათების ხანგრძლივობა და რადია-
ციის დაძაბულობა სწყვეტენ საკითხს ამათუიმ კურორ-
ტის კლიმატურ პირობების მნიშვნელობის შესახებ.

მზის ნათების ხანგრძლივობა წლის პერიოდში
 შოვისათვის შეადგენს 2100—2150 საათს, სეზონებად
 მიხედვით ეს რაოდენობა ნაწილდება შემდეგნაირად:

ზამთარი	340	საათი;
გაზაფხული	520	"
ზაფხული	700	"
შემოდგომა	540	"

მზის უშუალო მოქმედება იწყება ზაფხულის თვე-
 ებში დაახლოებით დილის 6 საათიდან და მთავრდება
 საღამოს 7—8 საათზე. კურორტ შოვის მზის ნათების
 თავისებურება უფრო ნათელი რომ გახდეს, ქვემოთ
 მოგვყავს შესადარებელი ცხრილი, რომელიც ეხება
 კურორტ შოვის, აბასთუმანის, დავოსის, აროზას და
 ბაკურიანის მზის ნათების ხანგრძლივობას წლის გან-
 მავლობაში.

აღებულია ერთიდაიგივე თვეები და წლები:

წლები	შოვი	აბას- თუმა- ნი	დავო- სი	აროზა	ბაკურიანი
1930 წელი აპრილიდან— დეკემბრამდე	1580	—	1289	1382	1678
1931 წელი იანვრიდან— დეკემბრამდე	2100	1907	1768	1934	1901

ამ ცხრილიდან ნათლად ჩანს შოვის უპირატესობა
 სხვა ზემოდასახელებულ ადგილებთან შედარებით.

შოვში წლის საშუალო ტემპერატურა აღწევს 5⁰-დან
 6⁰-მდე, ზაფხულის საშუალო ტემპერატურა დაახლოე-
 ბით უდრის 14⁰—16⁰; ზამთრის ტემპერატურა უნდა ჩა-
 ითვალოს შედარებით აწეულად ფიონების მოქმედების
 გამო, სამაგიეროდ, ზამთრის პერიოდს დამატებით ახა-
 სიათებს ჰაერის შედარებითი სიმშრალე და თითქმის
 ადრეალური გამჭვირვალობა.

ცალკეულ თვეების საშუალო ტემპერატურა შოვეში
შემდგენაირად ხასიათდება:

თვეები	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
საშ. ტემპ. გრადუსე- ბში.	-5,2	-3,4	-2,0	4,7	9,9	14,0	16,6	16,2	12,2	7,3	2,7	2,8

ყველაფერი ეს ქმნის მშვენიერ კლიმატურ კომპლექსს ზამთრისათვის და დადებითად სწყვეტს ამ კურორტის გამოყენების საკითხს მთელი წლის განმავლობაში.

ნალექები კურორტის ზონაში 1000—1100 მილიმეტრს აღწევენ, ნალექების უმეტესი ნაწილი მოდის გაზაფხულზე და გვიან შემოდგომაზე. შოვის წვიმიანი პერიოდები ხანმოკლეა, წვიმიანი ამინდი იშვიათად გასტანს მხოლოდ 2—3 დღეს, უმეტესად კი წვიმა, სეზონის განმავლობაში იკავებს რამდენიმე საათს. წვიმიანი დღეების რაოდენობა ზაფხულის სეზონში არ აღემატება 20—25 დღეს, ზამთრის ნალექებს უმთავრესად თოვლი შეადგენს, რომლის სიმაღლე საშუალოდ 50 სანტიმეტრს აღწევს.

შოვის მიდამოები მთლიანად თოვლით იფარება ნოემბრის დამლევდიდან და თავისუფლდება საბურველსაგან მარტის შუა რიცხვებში.

შეტარდებითი სინესტე შოვეში წლის განმავლობაში (საშუალოდ თვეების მიხედვით %-ში) ასეთია:

თვეები	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
სინესტე %-ში	8	79	76	75	76	73	75	74	76	79	79	82

წლიური საშუალო შეფარდებითი სინესტე 13 საათისათვის უდრის 58⁰/₀, სალამოს და ღამის საათებში სინესტე შედარებით აწეულია, ამის გამო წლიური საშუალო სინესტე აღწევს 77%. სინესტის მაჩვენებლებზე ნაწილობრივ გავლენას უნდა ახდენდეს ის გარემოება, რომ სადგური, სადაც წარმოებს შოვში მეტეოროლოგიური დაკვირვება,—კურორტის სხვა ადგილთან შედარებით უფრო ნესტიანია.

შედარებითი სიმშრალე უმთავრესად ადგილობრივ ქარების მოქმედების შედეგია, რომელიც შოვის პირობებში ხშირად ფენისებურ ხასიათს იღებს. ქარების მიმართულება წლის დროის მიხედვით ასე იცვლება ზამთარში (იანვარში)—უბირატესად ქრის ჩრდილო-აღმოსავლეთისა და აღმოსავლეთის ქარები, რომლის სისწრაფე საშუალოდ უდრის 0,5 მეტრს წამში, უფრო სუსტად ქრის სამხრეთ-დასავლეთისა და დასავლეთის ქარები. ივლისში გაბატონებულია სამხრეთ-აღმოსავლეთის, სამხრეთ-დასავლეთის და დასავლეთის ქარები, საშუალო სისწრაფით 0,5 მეტრი წამში.

აღმოსავლეთის ქარებს დადებითი გავლენა აქვთ ჰავაზე, რაც ზემოთ იყო აღნიშნული. რაც შეეხება დასავლეთის ქარებს, აღსანიშნავია ის, რომ მათ კურორტის ზონაში შემოაქვთ ზღვის ჰავის ელემენტები. ამას ხელს უწყობს ამ მხარეში გაბატონებულ მთა-ბარის (მთის ნიავი) ქარები. ამ ქარებს აქვთ შემდეგი მიმართულება: დღის განმავლობაში ჰქრიან ბარიდან მთებისაკენ, ღამით—მთებიდან ბარში. საერთოდ, მათი სისწრაფე საშუალოდ უდრის 1,0 მეტრს წამში.

ზემოთ ჩვენ შევეხეთ მზის ნათების ხანგრძლივობას შოვში და მის უბირატესობას სხვა კურორტებთან შედარებით. კურორტზე მკურნალობის დროს, რომ არა

ექნეს ადგილი მზით სარგებლობის წესების დარღვევას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მთელი რიგი არასასიამოვნო მოვლენები, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოვიყვანოთ აქ მზით მკურნალობის ზოგიერთი წესი. საერთოდ ჰელიოთერაპიაში მომქმედ ფაქტორად ითვლება ენერგია, რომელსაც იძლევა მზის სხივი. აქედან, ცხადია, ამ ენერგიის დოზირებისთვის საჭიროა აღნიშნული ენერგიის დაძაბვის სისტემატური განსაზღვრა.

ეს წარმოებს სპეციალურ ხელსაწყოების—აქტინომეტრებისა და პირონომეტრების საშუალებით.

აღნიშნული იარაღების მონაცემები საშუალებას იძლევა ზუსტად განვსაზღვროთ მზის ენერგიის რაოდენობა არა დროის ხანგრძლივობით, არამედ სითბოს რაოდენობის ერთეულებით (გრამკალორია კვადრატულ სანტიმეტრზე ერთ წუთში). იმ შემთხვევებში, როდესაც სოლარიუმს არა აქვს შესაძლებლობა განსაზღვროს მზის რადიაციის ინტენსივობა, მზის აბაზანების მიღება, შეიძლება ჩატარდეს დროის მიხედვით, მხოლოდ მედპერსონალის მეთვალყურეობის ქვეშ.

მზის სხივები ორგანიზმზე, პირველ ყოვლისა, მოქმედებენ კანის საშუალებით, მათი გავლენით კანი შავდება, მასში ხდება პიგმენტების განლაგება. იმის წყალობით, რომ პიგმენტს აქვს თვისება შთანთქას მზის სპექტრის ქიმიური სხივები, ის იცავს ორგანიზმს ამ სხივების ძლიერი და მავნე მოქმედებისაგან. მზის სხივები აგრეთვე მოქმედებენ გულზე, სისხლის შემადგენლობაზე და ნერვულ სისტემაზე, მათი მოქმედებით სისხლის ძარღვები ფართოვდებიან, სისხლის მიმოქცევა ორგანიზმში ძლიერდება, კანის სუნთქვითი პროცესი

ზრდება. საოფლე ჯირკვლები სხივების ზეგავლენით ძლიერებენ ოფლის გამოყოფას და ამით ხელს ბენ სხეულში ნივთიერებათა ცვლის შედეგად წარმოშობილ მავნე, მომწამვლელ ნივთიერებათა ორგანიზმიდან გამოყოფას. ოფლის გამოყოფა აგრეთვე აწარმოებს ორგანიზმის სითბოს რეგულაციას, აადვილებს ამავე დროს ზოგიერთი ორგანოების მუშაობას (თირკვლების, ფილტვების) და ბოლოს მზის სხივების გავლენით უმჯობესდება ნივთიერებათა ცვლა ქსოვილებში, შაგრდება კუნთები და ჯანსაღდება ადამიანი.

მზის სხივების გამოყენება სამკურნალოდ და პროფილაქტიური მიზნით ხდება მზის აბაზანების საშუალებით. მზის აბაზანები ორგვარია: საერთო, როდესაც მთელი სხეული იღებს მონაწილეობას და ნაწილობრივი, როდესაც ორგანიზმის რომელიმე ნაწილი.

პირველი მზის აბაზანის მიღების ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 4—8 წუთს, ხოლო შემდგომი პროცედურების ხანგრძლივობა შეიძლება გაიზარდოს 4—5 წუთით (თითო წუთი თითო გვერდზე) და 10—15 დღის განმავლობაში მზის აბაზანა შეიძლება ავიყვანოთ 30—50 წუთამდე.

შედარებით სუსტ ავადმყოფებს მზის აბაზანების მიღებამდე ენიშნებათ ჰაერის აბაზანები, ორგანიზმის თანდათანობით შეჩვევის მიზნით.

აბაზანის მიღება უნდა ხდებოდეს მწოლიარე მდგომარეობაში, თავი დაკული უნდა იყოს ქოლგით, ან თავსახურით, ამ დროს თვალებზე სასურველია ავადმყოფმა გაიკეთოს ლურჯი მინის (დამცველი) სათვალებები.

თუ მზის აბაზანების შედეგად ავადმყოფს დაეწყოს თავბრუს ხვევა, თავის ტკივილი, ქოშინი, გულის რევა, საჭიროა სასწრაფოდ შეწყვეტილი იქნეს მზის აბაზანების მიღება.

საერთოდ მზის აბაზანების მიღება ძლიერ სუბიექტურია, — შეიძლება ერთ ავადმყოფს ძლიერ მოუხდეს, მეორეს კი ვნება მოუტანოს და გამოიწვიოს მთელი რიგი არასასიამოვნო მოვლენები, როგორც, მაგალი-

თად: საერთო მდგომარეობის გაუარესება, მადის და-
კარგვა, უძილობა, თავის ტკივილი, დაღლილობა, საერ-
თო სისუსტე, ტემპერატურის მომატება, კანის გაღიზი-
ანება, წონაში დაკლება, სისხლის შემადგენლობის გაუა-
რესება, ნერვული აშლილობის მოვლენები, ქოშინი,
გულის რევა, კუჭის აშლილობანი და სხვა.

ყველა ეს მოვლენა, რომელიც შეიძლება განვი-
თარდეს მზის აბაზანების მიღების შედეგად, მოითხოვს
ექიმის დიდ ყურადღებას, ზუსტ კლინიკურ დაკვირ-
ვებას და ინდივიდუალურ შეფასებას. თუ მზის აბაზა-
ნების მიღება დადებით ეფექტს იძლევა,—ეს იმას მოწ-
მობს, რომ საჭიროა მისი გაგრძელება და პირიქით, თუ
შედეგები უარყოფითია, საჭიროა დროზე შევწყვიტოთ
მზის აბაზანების მიღება მოსალოდნელ გართულებათა
თავიდან ასაცილებლად.

სოლარიუმის წესიერი მუშაობისათვის სასურველია
შემოღებული იქნას ავადმყოფთა დღიურები, სადაც აღ-
ნიშნული იქნება ყოველგვარი ცვლილებები და ავად-
მყოფობის მიმდინარეობა.

წესიერად ჩატარებული მზის აბაზანების შემდეგ,
როდესაც მიღებულა დადებითი ეფექტი, ავადმო-
ღებმა პარველ ხანებში მაინც შეიძლება იგრძნონ იოლი
დაღლილობა, სისუსტე, ხოლო რამდენიმე დღის შემ-
დეგ ამას მოსდევს მადის მომატება, შრომის უნარიანო-
ბის გაძლიერება, კარგი გუნება-განწყობა და სხვა.

უკვე ზემოხსენებული სიმპტომები აშკარად გვიჩ-
ვენებენ მზის აბაზანების დადებით და უარყოფით შე-
დეგებს, ხოლო ეს ყოველივე უნდა იქნას შემოწმებულ
ლაბორატორიული გამოკვლევებით (ჰემოგლობინის პრო-
ცენტის გამოკვლევა, ერითროციტების, ლეიკოციტების
რაოდენობისა და აგრეთვე სისხლის ჰემოგრამის გამო-
კვლევა, ედრ * და სხვა).

შოვის პირობებში დიდი მნიშვნელობა აქვს ჰაერის
აბაზანების მიღებასაც. სინამდვილეში ამათი განცალკე-

* ერითროციტების დალექვის რეაქცია.

ვება ერთმანეთისაგან ძნელია, რადგან მზის აბაზანა ერთდამავე დროს ჰაერის აბაზანაცაა.

მზის აბაზანის დროს სხეულზე მოქმედებენ ლოდ პირდაპირი მზის სხივები, ხოლო ჰაერის აბაზანების დროს კი მონაწილეობს მზის მხოლოდ გაფანტული რადიაცია.

ჰაერის აბაზანებით მკურნალობას აწარმოებენ მასობრივად ჩრდილში ხის თავშესაფარებში (აერარიუმები), შეიძლება ნაძვის, ან ფიჭვის ძირშიც მოთავსდეს საწოლები და ჩატარდეს ჰაერის აბაზანებით მკურნალობა.

ჰაერის აბაზანებს ხშირად იღებენ როგორც ჰელიოთერაპიისათვის მზადების პროცედურას. ჰაერის აბაზანების დროს პროცედურაში მონაწილეობს მეტეოროლოგიური ელემენტების მთელი კომპლექსი.

ჰაერის აბაზანა შეიძლება დაენიშნოს ავადმყოფს მაშინ, როცა ჰაერის ტემპერატურა აღემატება 20°-ს და ჰაერის მოძრაობის სიჩქარე კი არ აღემატება 1 ან 2 მეტრს წამში. ჩვეულებრივ აბაზანა ინიშნება 5—10 წუთის ხანგრძლივობით, შემდეგ ორგანიზმის მდგომარეობის მიხედვით ყოველდღე ემატება მას 5—10 წუთი და აყალიბდება 1—1½ საათამდე, ჯანმრთელ პირებისათვის კი უფრო მეტ ხანგრძლივობამდე.

ჰაერის აბაზანები წარმოადგენენ მზის აბაზანების შემცველ პროცედურას სუსტ, სისხლნაკლოვან ავადმყოფებისათვის, რადგან ისინი უშუალოდ მზის სხივებს ვერ იტანენ. თუ ავადმყოფი ძლიერ სუსტია, ამ შემთხვევაში ღან შეიძლება მიიღოს ჰაერის აბაზანა არა შიშველ მდგომარეობაში, არამედ გადაცმული თხელ თეთრ ტანსაცმელში.

ჰაერის აბაზანის ხანგრძლივობა არ უნდა იყოს გადაჭარბებული განსაზღვრულ დროს, რომ არ გამოიწვიოს (ზედმეტი აორთქლების შედეგად) შემცივნება.

ჰაერის აბაზანები, ისე როგორც მზისა—ინიშნება მსუბუქი საუზმის შემდეგ, ჰაერის აბაზანების შემდეგ ავადმყოფმა სასურველია მიიღოს თბილი მზაპი, კარგია

თუ ჰაერის აბაზანებს დაუკავშირებთ ვარჯიშს. ყოველ-
ღვე ამ პროცედურების შემდეგ ავადმყოფი თავს კარ-
გად გრძნობს; ემატება ჯანი, ჭამის მადა, ძილი, უმჯობესდება ნივთიერებათა ცვლა, იცვლება სისხლის შემადგენლობა, იზრდება წითელი ბურთულებისა და ჰემოგლობინის რაოდენობა, უმჯობესდება ქსოვილების კვება და სხვა.

შოვში, როგორც საერთოდ მაღალ მთიან პირობებში, ხდება სისხლმბად ორგანოების (უმთავრესად ძვლის ტვინის) გაღაზიანება, რის წყალობითაც იზრდება სისხლში წითელი ბურთულების რიცხვი და ჰემოგლობინის პროცენტული შემადგენლობა.

სუსტ ავადმყოფებს მაღლობზე ზოგჯერ პირველ დღეებში ემჩნევათ საერთო აღგზნებულობა, მაჯის აჩქარება, ქოშინი, დაღლილობა, უძილობა და ზოგ მათგანს ხანდახან ტემპერატურის მომატებაც კი, ამიტომ საჭიროა პირველ ხანებში ავადმყოფები იყვნენ სრულ მოხუცებაში, სანამ არ მოხდება აკლიმატიზაცია; ეს უკანასკნელი შოვის პირობებში შედარებით ჩქარა ხდება (3—5 დღე).

მინერალური წყლები

შოვი შესანიშნავია არა მარტო თავისი კლიმატით და ლამაზი ბუნებით, არამედ იგი შესანიშნავი და მდიდარია უხვი მინერალური წყლებითაც. თვით კურორტის ტერიტორიაზე და მის უშუალო სიახლოვეში დღესდღეობით ცნობილი და გამოკვლეულია 13 მინერალური წყარო. ეს წყაროები შესანიშნავია თავისი მინერალური შემადგენლობით, სასიამოვნო გემოთი და დაბალი ტემპერატურით.

საერთოდ მინერალურ წყლებად შეიძლება ჩავთვალოთ ისეთი წყლები, რომლებიც შეიცავენ გაზებს და მარილებს შედარებით დიდი რაოდენობით—ერთ გრამზე მეტს ერთ ლიტრში, ან რომელთა ბუნებრივი ტემპერატურა აღემატება 20°, ან თუ შეიცავენ ზოგიერთ

ბიოლოგიურად აქტიურ ელემენტების განსაზღვრულ რაოდენობას, როგორც, მაგალითად, რკინას 10 მილიგრამზე მეტს ერთ ლიტრ წყალში, დარიშხანს 1 მილიგრამზე მეტს, ბრომსა და იოდს 10 მილიგრამზე მეტს ერთ ლიტრ წყალში და სხვა.

მინერალური წყლები ტემპერატურის მიხედვით ცხელია, თბილი და ცივი. ჩვეულებრივ, რაც მეტი სიღრმიდან გამოდის წყალი, მით უფრო მისი ტემპერატურა მაღალია: ყვილაზე ცოცხაროდ ითვლება ზაბაიკალის ოლქში ალექსის პირველი წყარო, რომლის ტემპერატურა არ აღემატება 1⁰-ს. ყველაზე ცხელი წყაროები კი კამჩატკაზეა, რომელთა ტემპერატურა დუღილის ტემპერატურამდე აღწევს. სამკურნალო წყლების ბუნებრივი ტემპერატურა, რაც უფრო უახლოვდება იმ ტემპერატურას, როგორც ისინი იხმარებიან სამკურნალოდ აბაზანების სახით, თუ სასმელად,—იმდენად ასეთი წყლების სამკურნალო ღირსება შედარებით მაღალია, რადგან თერაპიული გამოყენების დროს მას გათბობა, ან გაცივება არ სჭირდება, რაც უზრუნველყოფს მინერალური წყლის ბუნებრივ ფიზიკურ-ქიმიურ თვისებათა მთლიანად შენარჩუნებას.

მინერალური წყლების, როგორც სამკურნალო საშუალებათა უპირატესობა იმაში გამოიხატება, რომ მათში არსებული მარილები დისოცირებული არიან შემადგენელ ელემენტებად (იონებად), რომლებიც დატვირთულაა დადებითი ან უარყოფითი ელექტრონებით, რაც ხელს უწყობს მათ ენერგიულ მოქმედებას ორგანიზმზე.

ჩვეულებრივ, მინერალური წყალი უფეროა, მაგრამ მასში გახსნილი ზოგიერთი ნივთიერება ხშირად ცვლის წყლის ბუნებრივ ფერს.

მაგალითად, გოგირდის შენაერთები წყალს აძლევენ მოყვითალო ფერს. ზოგჯერ მინერალურ წყალს ნიადაგოდან ამოსვლის პროცესში ამოყვება თიხის, ქვიშის და სხვა წერილი ხაწილაკები, რომელნიც ამღვრევენ მას და უკარგავენ გამჭვირვალობას. მინერალურ წყლებში

არსებულ შემადგენელ ელემენტთა შორის ქიმიური რეაქციის შედეგად ხშირად ხდება ზოგიერთი ელემენტების ნაერთების გამოვარდნა მარილებისა და სხვადასხვა ფერის ნალექების სახით.

მინერალური წყლის გემო დამოკიდებულია მის ქიმიურ შემადგენლობაზე. ის წყლები, რომლებიც დიდი რაოდენობით შეიცავენ თავისუფალ ნახშირორჟანგს, მომეაგვო სასიამოვნო გემოსი არიან; ამით აიხსნება, ალბათ, რომ ხშირად ჩვენში ხალხი მათ მეავე წყლებს უწოდებს.

წყლებს, რომლებიც შეიცავენ ქლორიან ნატრიუმს, მლაშე გემო ახასიათებთ, რკინიან წყლებს კი მწკლარტე გემო აქვთ და სხვა.

გოგირდიან წყლებს, მეტადრე, რომელნიც დიდი რაოდენობით თავისუფალ გოგირდწყალბადს შეიცავენ — არასასიამოვნო სუნის აქვთ.

მინერალური წყლის ხვედრითი წონა ყოველთვის უფრო მაღალია ჩვეულებრივ რბილ წყლებთან შედარებით და იგი მატულობს წყლის მინერალიზაციის შეფარდებით. ყველაზე მაღალი ხვედრითი წონა აქვს ქლორნატრიუმთან წყლებს.

მინერალურ წყლებში მცირე რაოდენობით გვხვდება სხვადასხვა იშვიათი გაზები: არგონი, ჰელიუმი, ნეონი, კრიპტონი და ქსენონი. ასეთ იშვიათ გაზებს ეკუთვნის აგრეთვე რადიუმის ემანაცია, ანუ რადიუმის მარილის დაშლის პროდუქტები. თვით რადიაქტიური მარილები სამკურნალო წყლებში იშვიათად მოიპოვება, ემანაცია კი საკმაოდ მრავალ წყლებშია აღმოჩენილი.

ყოველი კურორტისათვის მინერალურ წყლებთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვთ კარგ სასმელ მტკნარ წყლებსაც. ბუნებას კურორტი შოვი დააჯილდოვა აგრეთვე მრავალი მდინარით, ნაკადულებით, წყაროებით, რომლებიც სასმელად მეტად სასიამოვნო და რბილია. შოვის მრედაზონებში ასეთი სახის მდინარეებიდან აღსანიშნავია მდინარე ჭანჭახი, ჩხოჭყურა, ბუბის წყალი და სხვა მრავალი დიდი და პატარა შენაკადი.

მოვის ძინერალური წყლები ქიმიური შემადგენ-
ლობის მიხედვით ძირითადად ერთი ტიპისა არიან; ყვე-
ლა ისინი დიდა რაოდენობით შეიცავენ კალციუმს, მა-
გრამ ამავე დროს ცალკეული წყაროს წყლები განსხვავ-
დებიან ერთმანეთისაგან ზოგადი მინერალიზაციით და
სხვა კომპონენტების (ნატრიუმი, რკინა და სხვა) თვი-
სებითი და რაოდენობითი შემადგენლობით.

ასე, მაგალითად, წყარო № 1, რომელიც მდებარეობს
ბარისთაგზე კურორტის ტერიტორიის ჩრდილო-დასავ-
ლეთით და იქვე მახლობლად ათიოდე მეტრის დაცილე-
ბით წყარო № 2, ხასიათდებიან ნატრიუმის საგრძნობი
რაოდენობით, მათ ადგილობრივ ეძახიან რკინის წყალს
— ეს სახელწოდება არ არის სწორი, რადგან რკინის
რაოდენობა აქ მცირეა ზოგიერთ სხვა წყაროებთან შე-
დარებით. უფრო სწორი იქნებოდა გვეწოდებინა ნახ-
შირმევა ჰიდროკარბონატული-კალციუმ-ნატრიუმიანი
წყალი.

№ 1 წყარო ხასიათდება მუდმივი ტემპერატურით,
მინერალიზაციით და დებიტით, მის გვერდით მდებარე
წყარო № 2 მოუვლელია, ადგილი აქვს ზედაპირიდან
ატმოსფერული ნალექების გაჟონვას ნიადაგში და მი-
ნერალურ წყალთან შერევას, რის გამოც წვიმიან ამინ-
დებში ეს წყალი ხასიათდება მინერალიზაციის შემცო-
რებით. ამითვე უნდა აიხსნას მასში მაგნიუმის შემცვე-
ლობაც. ამ წყაროს სათანადო მოვლის შედეგად ჩვენ
მივიღებთ სავსებით ისეთივე წყალს, როგორსაც № 1
წყაროდან ვღებულობთ.

აღსანიშნავია წყარო № 11, რომელიც მდებარეობს
ტურბაზის ქვემოთ მდინარე ჭანჭახის მარცხენა ნაპირ-
ზე. აქ ნატრიუმის რაოდენობა სჭარბობს კალციუმს,
რითაც ის განსხვავდება ყველა წყაროსაგან. მასში
საკმაოდ დიდა რაოდენობით შედის რკინაც. ამიტომ
სწორი იქნება მას ნახშირმევა ჰიდროკარბონატული-
ნატრიუმიანი-კალციუმიანი-რკინიანი წყალი ვუწოდოთ.

წყაროები № 1, 2 და 11 ხასიათდებიან თავისუფალი
ნახშირორჟანგის ყველაზე მეტი კონცენტრაციით, შოვ-

ში არსებულ ყველა წყლებთან შედარებით, რაც შეადგენს, ერთ ლიტრ წყალზე 1,9 გრამიდან—2,2 გრამამდე სხვა წყაროებიდან აღსანიშნავია წყარო № 8, რომელიც მდებარეობს ელსადგურის წინ ხიდის ზემოთ ოსეთის სამხედრო გზის მარჯვნივ; თავისი შემადგენლობით ის კალციუმიანი წყალია. ნატრიუმი აქ შედარებით მცირე რაოდენობითაა, მაგრამ ხასიათდება რკინის ყველაზე მეტი შემცველობით, ამიტომ სწორი იქნება ვუწოდოთ მას ნახშირმჟავა ჰიდროკარბონატულ-კალციუმიან-რკინიანი წყალი.

დანარჩენი მინერალური წყლები შეიცავენ სხვადასხვა კონცენტრაციით კალციუმს და ყველანი წარმოადგენენ ძირითადად კალციუმიან წყლებს. მათ მიეკუთვნება წყაროები № 3 (ბარის თავზე) № 1-ლის მახლობლად (ხის ქვეშ), № 12 სოფ. გლოლაში წისქვილის ზემოთ, № 4 და № 10.

წყარო № 5 (კურორტის პოლიკლინიკის წინ მდებარე) მდინარე ჭანჭახის მარჯვენა ნაპირზე, ცნობილია „სოდის წყლის“ სახელით; იგი არ ამართლებს თავის სახელწოდებას, რადგანაც წარმოადგენს ტიპურ კალციუმიან წყალს. სავსებით იმავე ტიპის წყალს მიეკუთვნება წყარო № 13 სოფ. გლოლაში ოსეთის სამხედრო გზის მარცხენა მხარეზე, რომელიც ადგილობრივად ცნობილია კუჭის წყალის სახელწოდებით.

წყარო № 7, რომელიც მდებარეობს სასტუმროს ჩრდილო-აღმოსავლეთით მდ. ბუბას მარჯვენა ნაპირზე, ცნობილია რადიაქტიური წყაროს სახელწოდებით, მაგრამ ანალიზებმა გვიჩვენა, რომ მასში რადიაქტივობა ძალიან ცოტაა და მისი მოქმედება კი უნდა მიეწეროს მის დაბალ ტემპერატურას. მისი მინერალიზაცია ძალიან მცირეა. ასეთივე ტიპის წყლებს მიეკუთვნება წყარო № 6 და № 9, რომელთაც ზოგადად შეიძლება ვუწოდოთ დაბალი მინერალიზაციის წყლები: დაახლოვებით ასეთივე შემადგენლობა ახასიათებს შოვის მდინარეების წყლებსაც. მათი გამოყენება წარმატებით შეიძლება სასმელად და სამეურნეო საჭიროებისათვისაც.

საილუსტრაციოდ მოგვყავს შოვის მიხერალური წყლების ანალიზები ქიმიკოს შ. შარაშენიძის 1939 წლის მონაცემების მიხედვით (ცხრილები იხილეთ ამ წიგნის ქართული ნაწილის ბოლოში).

შოვის მინერალური წყლები სამკურნალო დანიშნულების მიხედვით ძირითადად შეგვიძლია დავყოთ ორ ჯგუფად:

პირველი ჯგუფი—ნახშირმჟავა-ჰიდროკარბონატულ-კალციუმ-ნატრიუმისანი წყლები (წყაროები №№ 1, 2 და 11).

ამ ჯგუფიდან ცალკე უნდა აღინიშნოს წყარო № 11, რომელიც ნატრიუმისა და რკინის ყველაზე მეტი შემცველია.

მეორე ჯგუფი—ნახშირმჟავა ჰიდრო-კარბონატული-კალციუმისანი წყლები (წყაროები №№ 3, 4, 5, 8, 10, 12 და 13).

ამ ჯგუფიდან აღსანიშნავია წყარო № 8, რომლის წყალს პირობით შეიძლება ეწოდოს რკინის წყალი, რადგან ის ყველაზე მეტ რკინას შეიცავს სხვა წყაროების წყლებთან შედარებით.

რაც შეეხება წყაროებს № 6, 7 და 9, მათი წყლები დაბალი მინერალიზაციის გამო სამკურნალოდ არ იხმარება და წარმოადგენენ რბილ სასმელ წყლებს.

მოყვანილი დაყოფის მიხედვით პირველი ჯგუფის წყლები ნაჩვენები არიან სამკურნალოდ კუჭნაწლავების ქრონიკული კატარების, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის ქრონიკული წყლულების, ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის ანთებადი პროცესების დროს. იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნულ დაავადებებს თან სდევს კუჭის წვენის მეავიანობის დაქვეითება, ეს წყლები, როგორც თავისუფალი ნახშირორჟანგის და სოდის საგრძნობი რაოდენობის შემცველნი, მიიღებიან ჭამის დროს ან 10—15 წუთით ჭამის წინ დაბალი ტემპერატურით, ვინაიდან ასეთი წესით მიღების შედეგად ისინი იწვევენ კუჭის წვენის სიმჟავიანობის მომატებას;

ეს მოვლენა აიხსნება იმით, რომ კუჭში მიღებულ საჭმ-
ლის გავლენით გამოყოფილი კუჭის წვენი არსებულ
მარილმჟავასა და ამავე დროს მიღებულ მინერალურ
წყალში არსებულ ნატრიუმ-ჰიდროკარბონატს (სოდის)
შორის ქიმიური რეაქციის შედეგად წარმოიშობა სუფ-
რის მარილი (NaCl) და ნახშირმჟავა გაზი (CO₂), რომ-
ლებიც აღიზიანებენ კუჭის სეკრეტორულ აპარატს და
წვევენ კუჭის წვენის გამოყოფის გაძლიერებასა და
მისი სიმჟავიანობის მომატებას.

იმ შემთხვევაში კი, როდესაც ზემოჩამოთვლილ და-
ვადებებს თან სდევს კუჭის წვენის მომეტებული სიმჟა-
ვიანობა, აღნიშნული მინერალური წყალი ავადმყოფს
ძლიერა შემთბარი, დეგაზირებული (უგაზო), ჭამის წინ
ერთი საათით ადრე, რის შედეგად კლებულობს კუჭის
წვენის გამოყოფა და ხდება მისი სიმჟავიანობის დაქ-
ვეითება.

მეორე ჯგუფის წყლები იხმარება სასმილად ძირ-
ადად სისხლნაკლოვანობის, ტუბერკულოზური დაავა-
დებებისა და საშარდე გზების დაავადების დროს.

შოვის მინერალური წყლები, როგორც ნახშირმჟავა-
გაზიანი წყლები, ფართოდ შეიძლება გამოვიყენოთ აბა-
ზანების სახით—გულის კუნთის მოღუნების (სისუსტის)
ნევრასტენიის, ნევრალგიურ ტკივილებისა და საერთო
სიმსუქნის დროს. მინერალური წყალი ავადმყოფთ
ენიშნებათ სასმელად, ჩვეულებრივ, 3-ჯერ დღეში ერ-
თი, ან უფრო იშვიათად—ერთნახევარი ჩაის ჭიქა.

მინერალურ წყალს იშვიათად სვამენ ერთ ლიტრზე
მეტს დღე-ღამის განმავლობაში. ჩვეულებრივად მინე-
რალური წყლის ყოველდღიურ ნორმას შეადგენს 600—
800 კუბიკური სანტიმეტრი.

მინერალური წყლების აბაზანების სახით გამოყენე-
ბის დროს დიდ როლს ასრულებს არა მარტო წყლის
ტემპერატურა, არამედ მისი მინერალიზაციაც. წყალში
გახსნილი მინერალური ნივთიერებანი სხვადასხვა მარე-
ლებისა და გაზების სახით მოქმედებენ რა გამაღიზიან-
ებლად, კანზე და მასში მოთავსებულ ნერვულ დაბო-

ლოვებებზე იწვევენ ღრმა ცვლილებებს ადამიანის ორგანიზმში, რასაც უნდა მოჰყვეს დადებითი სამკურნალო ეფექტი.

შოვის მინერალურ წყლებს ქიმიური შემადგენლობის მიხედვით განსაკუთრებული ადგილი უჭირავს და ამ მხრივ ძნელია მათი ჩათვლა სხვა რომელიმე ცნობილ წყლების სრულ ანალოგებად. თუმცა მეტი წილი შემავალი კომპონენტების მიხედვით არის მსგავსება საირმეს, ჟელეზნოვოდსკის ზოგიერთ წყლებსა და აგრეთვე საზღვარგარეთ ცნობილ ვილდუნგენტან (გერმანია), მაგრამ მაინც ყველა ეს წყლები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მათში შემავალი ცალკეულ ელემენტთა რაოდენობრივი შემადგენლობით.

ქვემოთ მოყვანილია აგრეთვე საირმეს, ჟელეზნოვოდსკისა და ვილდუნგენტანის წყლების ფიზიკურ-ქიმიური ანალიზების ცხრილები შოვის მინერალურ წყლებთან შესადარებლად (იხ. ცხრილები).

ცხრილებიდან ჩანს, რომ ნატრიუმის რაოდენობა შესადარებლად მოყვანილ წყლებში უფრო მეტია, ვიდრე შოვის წყლებში. ამ მხრივ უფრო ახლოს დგანან ერთმანეთთან საირმეს № 1 წყარო და ვილდუნგენი და შოვის წყარო № 11.

ვილდუნგენტანის წყალში საკმაოდ დიდი რაოდენობით მოიპოვება მაგნიუმი, ქლორი, რაც შოვის წყლებში მცირეა. ჟელეზნოვოდსკის სმირნოვის წყალი კი ჭარბად შეიცავს სულფატს. შოვის წყლები დიდი რაოდენობით შეიცავს კალციუმსა და რკინას, რაც მათ აძლევს მაღალ თერაპიულ ღირსებას ტუბერკულოზისა და განსაკუთრებით სისხლნაკლოვანობის მკურნალობის საქმეში.

თავისუფალი ნატრიორჟანგის მიხედვით შოვის წყლებს უპირატესობა აქვთ საირმესა და სმირნოვის წყლებთან შედარებით.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მინერალურ წყლების ბალნეო-თერაპიული ეფექტი არ შეიძლება ავხსნათ მარტო მათში შემავალი ცალკეული, თუგინდ წამყვან

კომპონენტების გავლენით. ამ შემთხვევაში გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს მინერალურ წყლის კომპლექსური მოქმედებას.



არსებული ლიტერატურის მიმოხილვა კურორტ შოვის შესახებ

სამეცნიერო შრომები და კლინიკურ დაკვირვებათა მასალები ადამიანის ორგანიზმზე შოვის სამკურნალო ფაქტორების გავლენას შესახებ დღეს-დღეობით მცარეა. შრომების უმეტესობა შეეხება ტუბერკულოზით, ნევრასტენიით და მალარიით დაავადებულებზე ჩატარებულ დაკვირვებებს.

ქვემოთ მოგვყავს მასალები შოვის შესახებ არსებული ჩვენთვის ხელმისაწვდომი ლიტერატურიდან.

ექ. მერი ლეჟავას მიერ ჩატარებულია ექსპერიმენტული მუშაობა შოვის № 1 მინერალური წყაროს წყლის კუჭის სეკრეტორულ და ევაკუატორულ ფუნქციაზე გავლენის შესასწავლად,¹⁾ რის შედეგად ავტორი აღნიშნავს, რომ შოვის მინერალური წყალი გარკვეულ გავლენას ახდენს კუჭის სეკრეტორულ ფუნქციაზე, რაც გამოიხატება იმაში, რომ უზმოზე და საჭმელთან ერთად მიღებული წყალი იწვევს კუჭის წვენისა და მისი სიმჟავიანობის მომატებას; ჭამის წინ ერთი საათით ადრე მიღების შედეგად იგივე წყალი იწვევს კუჭის წვენის სიმჟავიანობის დაქვეითებას. ამას გარკვეული მნიშვნელობა აქვს კუჭ-ნაწლავის ისეთ დაავადებათა მკურნალობის დროს, რომელთაც თან სდევს კუჭის წვენის სიმჟავიანობის მომატება ან დაქვეითება.

შოვის ჩამოსხმული მინერალური წყალი არ კარგავს თავის ქიმიურ და ფიზიოლოგიურ მოქმედების თვისებებს, რაც ამ წყლის კურორტის გარე სამკურნალოდ გატანა-გამოყენების საშუალებას იძლევა.

ცნობილია, რომ საჭმლის მონელების პროცესში უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა კუჭის მოტორულ ფუნქციას.

¹⁾ ექ. მერი ლეჟავას სადისერტაციო შრომა — მედ. მეცნ. კანდ. ხარისხის მოსაპოვებლად.



ციას, რომელზედაც აგრეთვე შესაძინევ გავლენას
 დენს შოვის მინერალური წყალი. იგი აჩქარებს
 მოტორულ ფუნქციას უზმოზე მიღების შედეგად და
 ნაკლებად გამაღიზიანებელ მსუბუქ საჭმელთან ერ-
 თად კი იწვევს კუჭის ამ ფუნქციის შენელებას. მინერალ-
 ლური წყლის კუჭის მოტორულ ფუნქციაზე ზემოაღ-
 ნიშნულ გავლენას გარკვეული მნიშვნელობა აქვს ატო-
 ნიების, ყაბზობის და საერთოდ კუჭის მუშაობის რეგულ-
 ლაციისათვის.

მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის პროფესო-
 რი პ. პ. ქავთარაძის, დოც. ა. უშვერიძის და
 ვქ. პავლოვას მიერ ჩატარებული იყო ცდები კალ-
 ციუმისა და კალიუმის იონების ცვალებადობის შესა-
 ზებ სისხლში კურორტ შოვის კლიმატო-ბალნეოლოგი-
 ური ფაქტორების ზეგავლენის შედეგად. ეს ავტორები
 აღნიშნავენ, რომ კალციუმისა და კალიუმის რაოდენო-
 ბა ტუბერკულოზიან და ნერვიულ ავადმყოფთა სისხლ-
 ში დამოკიდებულია ენდოკრინულ და ვეგეტატურ ნერ-
 ვულ სისტემის მდგომარეობაზე.

კალციუმისა და კალიუმის რაოდენობა სისხლში
 კომპენსიურ და სუბკომპენსიურ ტუბერკულოზის შემ-
 თხვევებში ნორმის ფარგლებშია.

დემინერალიზაცია და დეკალცინაცია უნდა ახასია-
 თებდეს ტუბერკულოზის მძიმე ფორმებს გამოსახული
 კახექსიით (სიგამზდრით), როდესაც ენდოკრინული სის-
 ტემა განიცდის ფუნქციის დარღვევას.

კურორტ შოვში ტუბერკულოზით დაავადებულთა
 სისხლში სანატორიუმში შემოსვლისას აღინიშნებოდა
 კალციუმის რაოდენობა ნორმის ფარგლებში და კალიუ-
 მის დაქვეითება, გაწერისას კი—პირველის მომატება და
 მეორის ნორმამდე აყვანა.

მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ პროფ. პ.
 ქავთარაძემ და მედიცინის მეცნიერებათა დოქ-
 ტორმა ს. ენუქიძემ ჩატარეს დაკვირვება ვეგეტა-

ტიური ნერვული სისტემის მდგომარეობის ცვალებადობაზე კურორტ შოვში.



დამკვირვებელი ექიმები აღწერენ ისეთ ავადმყოფებს, რომელთაც ჰქონდათ ბრონქიალური ასთმა; ამ ავადმყოფებზე შოვმა მოახდინა იმდენად დადებითი გავლენა, რომ მათ იქ ყოფნისას არ მოსვლიათ ასთმური შეტევა, რომელთაც სხვაგან ძლიერ ხშირად აწუხებდათ.

ბრონქიალური ასთმა უმრავლესობის აზრით ვაგოტონური ავადმყოფობაა და მათ გაუმჯობესებასაც შოვის პირობებში ავტორები ხსნიან ორგანიზმის სიმპატიზაციით.

ამავე ავტორების დასკვნით 57 ავადმყოფიდან ყველა ვაგოტონური ნევროტონული ნიშნების მქონენი თავიდანვე თავს კარგად გრძნობდნენ და მათ დაეტყობოდა დიდი გაუმჯობესება, როგორც სომატურად, ისე ფსიქურად. იმ შემთხვევებში, როდესაც სიმპატიკოტონური ნიშნები სჭარბობდნენ, ავადმყოფები პირველად თავს ცუდად გრძნობდნენ, ხოლო, თუმცა ზოგიერთი მათგანი რამდენიმე ხნის შემდეგ ეჩვეოდნენ შოვის ჰავას, მაგრამ მაინც მათი გაჯანსაღება ნელი ტემპით მიმდინარეობდა. ამ კატეგორიიდან 4 ავადმყოფმა გაუარესებაც იგრძნო, უფრო მოუსვენარი შეიქნენ. მდინარე ჭანჭახის დამამშვიდებელი ხმაური მათ აღელვებდათ და გარშემორტყმული მშვენიერი მთები მათ თითქოს აღრჩობდათ. ესენი იყვნენ შორს წასული ნევროტიკები და კარგად გამოხატული პიპერთირიოიდიკები. ავტორების აზრით შოვის კლიმატური ფაქტორი ხელს უწყობს ნერვული სისტემის ფუნქციონალურ დაავადებათა გაჯანსაღებას და იგი პირველ ხანში ახდენს ორგანიზმის სიმპატიზაციას.

აღნიშნული ავტორების აზრით მძიმე თორმის ნევროზებით დაავადებულნი არ უნდა გაიგზავნონ კურორტ შოვში. ეს დებულება წინასწარია და მის დასადასტურებლად საჭიროა გაგრძელოს დაკვირვება, როგორც შოვში, ისე სხვა კურორტებზეც.

კურორტი შოვი უნდა ჩაითვალოს ნერვულ სისტემის ფუნქციონალურ დაავადებათა კლიმატიურ სადგურად და სასურველია მოეწყოს მათთვის ცალკე სანატორიუმი.

საერთოდ კურორტზე გაგზავნის დროს საექიმო გადამრჩევ კომისიას მხედველობაში უნდა ჰქონდეს ავადმყოფის ვეგეტატიური ნერვული სისტემის მდგომარეობაც.

ექიმები ნ. ამირაჯიბი, ა. უშვერიძე და საბაშვილი აწარმოებდნენ დაკვირვებას სხვადასხვა დაავადებით და მათ შორის ფილტვების დახურული ფორმის ტუბერკულოზით გამოწვეულ მეორად ანემიებზე კურორტ შოვის კლიმატის გავლენის შესახებ და მათი დასკვნით ცხადი გაუმჯობესება მიღებული იქნა ანემიების (სისხლნაკლებობის) ყველა შემთხვევაში უგამონაკლისოდ. წითელ სისხლში ხდება მნიშვნელოვანი გაუმჯობესება.

თეთრი სისხლის სურათი უფრო სტაბილურია, თუმცა მაინც იძლევა ავადმყოფთა საერთო გაუმჯობესების ნიშნებს, მაგრამ არა ყოველთვის, რაც შეიძლება დავაშირებული იყოს იმასთან, რომ ავადმყოფთა უმრავლესობას ტუბერკულოზი ჰქონდათ დახურულ ფორმაში და ისინი მეტ წილ შემთხვევაში პრაქტიკულად ჯანსაღნი იყვნენ.

ფილტვების ტუბერკულოზის სუბკომპენსირებული ფორმები მათი აზრით იძლეოდნენ პროცესის კომპენსირებულ ფორმაში გადასვლას 100 პროცენტში.

ჰემოგლობინის მომატება შოვში ჩამოსვლის პირველი დღეებიდან იწყებოდა, ერითროციტების რაოდენობის ზრდა კი უფრო ნელი ხდებოდა.

პროფ. პ. ქავთარაძე თავის შრომაში „კვდილოგრაფიის შედეგები შოვის სანატორიუმის ავადმყოფებზე“— აღნიშნავს, რომ კურორტ შოვში ანალიზატორულ სტატიკურ წონასწორობის ფუნქცია თვალსაჩინოდ სწორდება და ავადმყოფის სუბიექტურ და ობიექ-

ტურ გაუმჯობესებასთან ერთად კეთილოგრაფია გვიწვევს ნაკლებ ქანაობას.

ექიმები ნ. ა მ ი რ ა ჯ ი ბ ი, ა. უ შ ვ ე რ ი ძ ე თა-
ვინათ შრომებში „რეტეკულოზის დიაგნოსტიკური მნი-
შვნელობა მალარიის დროს კურორტ შოვის პირობებ-
ში“—აღნიშნავენ, რომ შოვის ყველა ავადმყოფს, რომელთაც დაკვირვებების დასაწყისში რეტეკულოციტების რიცხვი მომატებული არ ქონდათ, უკვე 15—20 დღის შემდეგ აღენიშნებოდათ მათი რიცხვის მომატება.

ჰიდრო-მეტეოროლოგ გ. ი. ჭ ი რ ა ქ ა ძ ი ს მიერ გამოქვეყნებულია შრომა „კურორტ შოვის კლიმატოფიზიკო-გეოგრაფიული პირობები“. ამ შრომიდან ზოგიერთი მასალა ჩვენს მიერ მოყვანილია; ავტორის აზრით კურორტ შოვში ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ზამთრის პერიოდის კლიმატური პირობები—ჰაერის შედარებითი სიმშრალე, საერთო თბილი გარემო, ატმოსფეროს კარგი გამჭვირვალობა, რადიაციის მაღალი მაჩვენებელი და უხვი მზიანობა, რომლებიც ზამთარს კლიმატო-ფიზიოლოგიურ თვალსაზრისით ერთერთ საუკეთესო პერიოდად ქმნიან. ყველაფერი ეს კი ქმნის პირობებს, რათა კურორტი შოვი მთელი წლის განმავლობაში მოქმედებდეს.

ჰიდრო-გეოლოგი მ. ფ ა ლ ა ვ ა თავის შრომაში „კურორტ შოვის რაიონის მინერალური წყაროები“ აღნიშნავს, რომ შოვის მინერალური წყლები მინერალიზაციას იღებენ იმ დანალექ ქანებიდან, რომელშიაც მათ უხდებათ მოძრაობა. ავტორის აზრით შოვში სულ სამი ტიპის წყაროა.

ტუტთანობის შედარებით დიდი პროცენტი და საერთო მინერალიზაცია შოვის № 1 და № 2 წყაროებს გაცილებით მაღლა აყენებს, ვიდრე ვილდუნგენს და ჭანჭახის ხეობის დანარჩენ წყაროებს.

არსებითად შოვის წყლები ტუტოვანი ტიპის წყლებია, ნახშირორჟანგის ჭარბი შემცველობა კი მათ აძლევს მომთავრო რეაქციას.

დოც. ი. ასლანი შვილს თავის შრომაში „ტურ-
რიზმი კურორტ შოვის მიდამოებში“, კარგად აქვს აღ-
წერილი შოვი და მისი მიდამოები, როგორც ექსკურ-
სიების, ტურიზმისა და ალპინიზმის საუკეთესო ბაზა.

საკუთარი ღაკვირვებები

რამდენიმე სიტყვით შევეხები კურორტ შოვში
1946 წლის ზაფხულის სეზონში ჩატარებულ საკუთარ
დაკვირვებათა შედეგად მიღებულ მასალებს.

როგორც ზემოდ უკვე აღნიშნული იყო, კურორტი
არ მოქმედებდა 1940 წლიდან. 1946 წლის ივნისში პირ-
ველად გაიხსნა შოვის საკურორტო სეზონი, მოქმედე-
ბაში იყო მხოლოდ № 1 სანატორიუმი და აგრეთვე
მკურნალობდნენ საკმაო რაოდენობით აპულატორული
ავადმყოფებიც.

შოვში, როგორც არა მარტო სამკურნალო, არამედ
პროფილაქტიურ და აგრეთვე შესანიშნავ ტურისტულ
ადგილზე, ჩვეულებრივ საკმაო რაოდენობით იგზავნე-
ბა ჯანსაღი ადამიანებიც. № 1 სანატორიუმის 150 დამ-
სვენებელთა შორის ისინი შეადგენენ 30 პროცენტს,
(დანარჩენი სხვადასხვა დაავადებებით, როგორც შე-
რეული ტიპის კურორტებზე).

ავადმყოფები ფილტვების ტუბერკულოზის დახურუ-
ლი ფორმით იყო 31, ყველანი თავს კარგად გრძნობდნენ
—ერთი თვით სანატორიუმში მკურნალობის შედეგად.
თვალსაჩინო იყო წონაში მომატება—4—7½ კილოგრა-
მამდე, აღენიშნებოდათ ფილტვებში კატარალური მოვ-
ლენების საგრძნობლად შემცირება, სუბფებრილური
ტემპერატურის ნორმამდე დაწევა, კარგი მაღა და მხია-
რული გუნებ-განწყობა.

პოლიადენიტით იყო სამი ავადმყოფი, რომლე-
ბიც გაეწერენ სანატორიუმიდან მკურნალობის სრუ-
ლიად დამაკმაყოფილებელი შედეგებით.

ავადმყოფთა შორის იყო 40 ბრონქოადენიტით დაა-
ვადებული, რომლებიც თავს შესანიშნავად გრძნობდ-
ნენ. აშკარა იყო მათი ჯანმრთელობის სუბიექტური და

ობიექტური გაუმჯობესება, რაც დადასტურდა აგრეთვე
საუკეთესო ანტროპომეტრული მონაცემებით.



მალარიით დაავადებული იყო სამი ავადმყოფი;—მათ
კურორტზე მოსვლისას დაეწყოთ მალარიის შეტევა,
ჩავუტარეთ ქინაქინით მკურნალობა, ხოლო შემდეგში
შევწყვიტეთ, რადგანაც ავადმყოფები გამოკეთდნენ,
და არც ერთხელ მალარიის რეციდივი არ ჰქო-
ნიათ, მოიმატეს წონაში და სრულიად საღად თვლიდ-
ნენ თავს; ეს უნდა აიხსნას შოვის, მაღალ მთიან
კურორტის კლიმატის გავლენით მალარიით დაავადე-
ბულებზე, რადგან აქ ჩქარა ხდება ორგანიზმის იმუნო-
ბიოლოგიური ძალების მომატება, რაც იწვევს ორგანიზ-
მის გაძლიერებულ ზრძოლას ამათუიმ დაავადებისად-
მი, ხოლო როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, უფრო მეტი
ეფექტი მოგვცა კომბინირებულმა მკურნალობამ, ე. ი.
საკურორტო ფაქტორებმა მედიკამენტებთან ერთად.

საერთო ნევრასტენიით დაავადებული იყო 7 ავად-
მყოფი, ორ მათგანს პირველ ხანებში თითქმის სრული-
ად არ ეძინათ, აღნიშნავდნენ უმადობას, თავს ცუდად
გრძნობდნენ, იმყოფებოდნენ მელანქოლიურ მდგო-
მარეობაში, ხოლო 8—10 დღის შემდეგ მათი გამოკეთე-
ბა თვალსაჩინო გახდა. ამ ჯგუფის ავადმყოფები გან-
საკუთრებით ატარებდნენ სამკურნალო ფიზკულტურას
გამაჯანსაღებელ ექსკურსიებთან ერთად, რამაც კარგი
შედეგები მოგვცა.

კუჭ-ნაწლავების დაავადებით იყო 8 ავადმყოფი,
თითქმის ყველას ჰქონდა ქრონიკული კოლიტი. კუ-
რორტზე ყოფნისას არცერთ მათგანს არ ჰქონია აშ-
ლილობისა და ტკივილების მოვლენები, რაც სანატო-
რიუმის სათანადო დიეტას და კალციუმთან მინერალურ
წყლებს უნდა მიეწეროს, ამ მინერალურ წყალს ეს
ავადმყოფები ღებულობდნენ სამკურნალოდ ექიმის
დარიგების თანახმად.

1946 წლის ზაფხულის სეზონში № 1 სანატორი-
უმში ვატარდა 150 სანატორული ავადმყოფი, მათგან
სრულიად გაჯანსაღებული გაეწერა 46, გაუმჯობესებუ-

ლი 99, უცვლელ მდგომარეობაში 4 და გაუარესებული მდგომარეობაში ერთი—(კონტუზიის მძიმე ფორმის შემთხვევის გამო).


შოვში გასული წლის ზაფხულზე ბავშვების საკმარისი რიცხვი ისვენებდა,—ისინი იყვნენ პოლიკლინიკური ავადმყოფები (რადვან ბავშვთა სანატორიუმი შოვში არ არსებობდა). მათზე ვაწარმოეთ დაკვირვებები. მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმებით, როგორც მოსვლის, ისე წასვლის დღეებში, უნდა ითქვას, საუკეთესო შედეგები იქნა მიღებული. აქედან თამამად შეიძლება დავასკვნათ, რომ შოვი ბავშვთა ერთერთი საუკეთესო სამკურნალო კურორტიცაა, განსაკუთრებით სასკოლო ასაკის ისეთი ბავშვებისათვის, რომელთაც აქვთ ლიმფადენიტი, პოლიადენიტი, საერთო სისუსტე და სისხლნაკლებობა (მეორადი ანემია) და აგრეთვე დაზარალებული ფორმის ტუბერკულოზური დაავადებანი.

ასეთივე დადებითი შედეგები მიიღეს სხვა ექიმებმაც —სპეციალისტებმაც, რომლებიც სხვადასხვა დროს მუშაობდნენ შოვში, რასაც მოკლედ შევეხეთ ზევით ლიტერატურულ მიმოხილვაში.

კურორტ შოვში მიღებული ასეთი კარგი შედეგები 1946 წ. ზაფხულის სეზონში, აიხსნება შოვის სამკურნალო ფაქტორების კომპლექსური ზეგავლენით (ჯანსაღი და კარგი ჰავა, მინერალური სამკურნალო წყლები, ავადმყოფის ჩვეულებრივი ცხოვრების პირობების გამოცვლა, ფიზიკური და ფსიქიური განტვირთვა, რაციონალური დიეტ-მკურნალობა (კვება) და სათანადო სანატორული რეჟიმი).

კურორტ შოვის ღირსშესანიშნავ თვისებებზე უკვე ზემოთ გვქონდა საუბარი. მისი ძვირფასი კლიმატი, ულამაზესი ბუნება, საუკეთესო სამკურნალო წყლები უქმნიან შოვს მსოფლიო მნიშვნელობის ერთერთ კლიმატურ-ბალნეოლოგიურ კურორტის მომავალს.

შოვი მით არის შესანიშნავი, რომ იქ შეიძლება გაიგზავნონ ისეთი ავადმყოფებიც, რომელთაც სჭირდებათ კომბინირებული მკურნალობა — მინერალური-




წყლით და ჰავეთ; შოვი კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტია, სადაც პირველი ადგილი უჭირავს მის შუა-სანიშნავ ჰავეს და შემდეგ კი მინერალურ წყაროებს. შოვი თავის მაღალხარისხოვან კლიმატურ-ბალნეოლოგიური სამკურნალო ფაქტორებით მოწინავე კურორტად უნდა ჩაითვალოს.

შოვში ჩატარებული ექსპერიმენტული, კლინიკურ-პრაქტიკულ დაკვირვებათა შედეგები გვაძლევენ საშუალებას გამოვიმუშაოთ ავადმყოფთა მკურნალობის ჩვენებანი და წინააღმდეგ ჩვენებანი.

ჩვენებანი კურორტ შოვში მკურნალობისათვის

1. ფილტვის ტუბერკულოზის ფიბროზული, დახურული ფორმები (არა ბაცილარული).
2. ნაწილობრივი პლევრიტი.
3. ბრონქიალური ასთმის შოვიერთი ფორმები.
4. ქრონიკული ბრონქიტები.
5. ფილტვების ემფიზემის მსუბუქი ფორმები.
6. ბრონქოექტაზიები, სისხლიანი ნახველის გარეშე.
7. რეკონვალესცენციები, მეორადი სისხლნაკლებობა და ქლოროზი.
8. კუჭის ქრონიკული კატარი.
9. კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის ქრონიკული წყლულები.
10. ნევრასტენია (საშუალო და მსუბუქი ფორმები), ორგანიზმის საერთო გადაღლილობა.
11. ქრონიკული ხოლესტიტი.
12. ხოლელითიაზი და ნაღვლის ბუშტის კენჭოვანი დაავადება ნაღვლის გზების დახშობის გარეშე.
13. თირკმლების ფიალების, შარდის ბუშტისა და შარდსადენის ქრონიკული ანთებადი პროცესები.
14. მალარია (მაღალი ტემპერატურის გარეშე).
15. ბაზილარული დაავადება (მსუბუქი ფორმა).



1. გულისა და სისხლძარღვთა სისტემის დაავადებანი, დეკომპენსაციის და სუბკომპენსაციის სტადიები.
2. ფილტვების და ლიმფური ჯირკვლების ტუბერკულოზის ღია ფორმები.
3. ნევრასთენიისა და ისტერიის მძიმე ფორმები.
4. ჰიპერტონიის მძიმე ფორმები.
5. საერთოდ კურორტებზე მკურნალობისათვის წინააღმდეგ ნაჩვენები დაავადებანი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: კურორტ შოვის კლიმატურ-ბალნეოლოგიურა სამკურნალო ფაქტორების შემდგომი დეტალური მეცნიერული შესწავლა მოგვცემა შემოადნიშნულ ჩვენებათა უფრო გაფართოების შესაძლებლობას.

კურორტის განვითარების პერსპექტივები

როგორც ზემოთ იყო თქმული, შოვი თავისი ძვირფასი კლიმატური თვისებების გამო უდაოდ პირველხარისხიანი კურორტია, მხოლოდ მისი მინერალური წყლები, რომლებიც ამჟამად საკმაოდ ცნობილი არიან, გვაძლევენ საფუძველს ვიფიქროთ, რომ ახლო მომავალში შოვი განვითარდება არა მარტო როგორც კლიმატური, აგრეთვე როგორც ბალნეოლოგიური კურორტიც. ვეხებით რა კურორტის განვითარების საკითხს, საჭიროდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ აქ ზოგიერთი ცნობები შოვის გენერალური დაგეგმვის პროექტიდან, რომელიც ითვალისწინებს დიდი სამუშაოების ჩატარებას კურორტის მშენებლობისა და კეთილმოწყობის მხრივ.

პროექტი საკურორტო მშენებლობას ითვალისწინებს შოვის ზედა ნაწილში, რადგან ის ყოველმხრივ უპირატეს პირობებში იმყოფება ქვედა ნაწილთან შედარებით. ამ ნაწილის ტერიტორია მდინარეებით —ჭანჭახით, ბუბის წყლით, და ჩხოჭყურათი დაყოფილია სამ უბნად: ჩრდილო, აღმოსავლეთისა და სამხრეთის უბნები.

ჩრდილო უბანი, რელიეფით და ინსოლიაციით საუკეთესო მიწის ნაკვეთებით და მინერალური წყაროებით № 1, 2, 3, და 4, გამოყოფილია სანატორიუმების და პანსიონატების მშენებლობისათვის. აქვე უნდა იყოს კულტურისა და დასვენების პარკი. ამ უბანში დაპროექტებულია 6 სანატორიუმის, 2 პანსიონატის და 5 აგარაკ კოტეჯის მშენებლობა, რომლებიც ემორჩილებიან ადგილის ტოპოგრაფიულ პირობებს, სანიტარულ-ჰიგიენურ მოთხოვნებს და მხარეების მიხედვით სწორ ორიენტირებას.

საერთოდ ყველა შენობა დაგეგმილია გაშლილი, ლამაზი ხედის მიღების პრინციპზე.

კურორტის ცენტრალურ ნაწილში, ულამაზეს ადგილზე დაპროექტებულია კურორტის პარკი, სადაც დაიდგმება ხალხთა დიდი ბელადის, გენერალისიმუს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის მონუმენტი.

კურორტის პარკი გაფორმებულ იქნება ლამაზი გზებით.

პროფილაქტიურ უბანში გათვალისწინებულია 5 კოტეჯის, 2 დასასვენებელი სახლისა და ოჯახებიან დამსვენებლებისათვის 4 აგარაკის მშენებლობა. დასასვენებელი სახლების წინ აგებული იქნება ლამაზი კოლონადა, გვერდებზე კიოსკები. კოლონადა თავისი ღია ნაწილით მიმართული იქნება ჩრდილოეთით, რაც მოგვცემს შუადღისას სასიამოვნო გრილ ჩრდილს. კოლონადა ფართე კიბით დაუკავშირდება საბანაო აუზის ვესტიბიულს. საბანაო აუზის გარშემო მდებარე ტერიტორია იქნება მთლიანად გამწვანებული.

კურორტზე მთავარი მისასვლელი გათვალისწინებულია ოსეთის სამხედრო გზიდან 1454 მეტრის აღნიშვნასთან, სადაც დაპროექტებულია ხიდი. ხიდიდან კურორტამდე გაივლის გზა-ხეივანი, რომლის ღერძზე

უკეთესი პერსპექტიული ხედვისათვის მოეწყობა მოედანი.

მოედნის გარშემო გათვალისწინებულია საადრინისტრაციო შენობების აგება: საკურორტო სამმართველო, სატრანსპორტო სადგური, ფოსტა-ტელეგრაფი და სხვა.

კურორტის ქვედა ნაწილში, ამჟამად არსებული ტურბაზის რაიონში, დაპროექტებულია 2 შენობის აგება დამხმარე ნაგებობებით 300 ტურისტისათვის. ტურბაზის გარშემო გაშენებული იქნება პარკი.

კურორტის მომსახურე პერსონალისათვის პროექტით გათვალისწინებულია ახალშენის მშენებლობა.

სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები და აგარაკები დაუკავშირდებიან ერთმანეთს ლამაზი ხეივანებით. მდინარეები ჭანჭახი და ბუბის წყალი ხასიათდებიან ნაპირების სილამაზით. პროექტი ითვალისწინებს ამ ბუნებრივი სილამაზის შენარჩუნებას, გარდა იმ ადგილებისა, სადაც არ არსებობს საშიშროება წყლისაგან ნაპირების წალეკვისა. კურორტის ერთ-ერთი ადგილი ხასიათდება შედარებით დაჭაობებით, რაც სავსებით დაუშვებელია კურორტის ტერიტორიაზე, ამიტომ პროექტი ითვალისწინებს მის ამოშრობას სადრენაჟო არხების სისტემის გაყვანილად.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საჭიროა მეტეოროლოგიური სადგურის გადატანა შესაფერის ადგილზე, რადგან მისი მონაცემები მომეტებული სინესტის გამო, ჩვენი აზრით, არ შეეფერებიან სინამდვილეს.

კურორტის გენერალური დაგეგმვის პროექტით, რომელიც შედგენილია კურორტოლოგიის ინსტიტუტის მიერ 1940—1941 წლებში, ცხადია, არ ამოიწურება ყველა ის შესაძლებლობა, რომელიც გააჩნია შოვს და მის მიდამოებს მომავალში აქ საკურორტო მშენებლობის გაშლისათვის. ჩვენ აქ მხედველობაში გვაქვს შოვთან ახლო მდებარე კურორტ უწერის ღირსშესანიშნავი სამკურნალო წყლები და მშვენიერი კლიმატიური პირო-

ბები, რომლის განვითარება შოვთან ერთად მოგვცემდა ერთ მთლიან კლიმატო-ბალნეოლოგიურ სამკურნალო კომბინატს.




შოვის წყლების საკმაო დებიტი და მინერალიზაცია, რომლებიც შესაძლებელია სათანადო ჰიდროგეოლოგიურ სამუშაოთა ჩატარებით საგრძნობლად გადიდდეს, სრულიად რეალურს ხდის აქ ნახშირმჟავა გაზიანი წყლების სააბაზანო შენობის აგებას, რაც უზრუნველყოფს ამ წყლების სამკურნალო აბაზანების სახით ფართოდ გამოყენებას.

მინერალური წყლების მაღალი სამკურნალო თვისებები, რომელიც მათ აყენებს ისეთ ცნობილ სამკურნალო წყლების რიგებში, როგორიც არიან ჟელეზნოვოდსკის ზოგიერთი წყლები, საირმეს და საზღვარგარეთ ცნობილი ვილდუნგენის წყლები, ადგილობრივ გამოყენებასთან ერთად მიზანშეწონილად ხდის მათ ექსპორტირებას, რისთვისაც საჭირო იქნება შოვში წყლას ჩამომსხმელი ქარხნის აგება.

ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს შოვის ძვირფასი ბუნებრივი სიმდიდრეების ფართო გამოყენებისათვის წარმოადგენს სამიმოსვლო გზების წესრიგში მოყვანა და ორგანიზებული საავტობუსო მიმოსვლის დაწესება, რადგან კურორტზე მიმავალ დამსვენებლისათვის დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს ქუთაისიდან შოვამდე ცუდათ მოწყობილი გზები და საავტობუსო მიმოსვლა.

სასურველია ზაფხულის თვეებში წარმოებდეს მოძრაობა მეორე მარშრუტითაც: თბილისი—გორი—სტალინირი—ჩასავალი—ონი—უწერა—შოვი, რადგან ეს გზა უმოკლესია თბილისიდან და თბილისიდან დილით გასული დამსვენებელი იმავე დღეს მივა შოვში.

დასასრულ უხდა ითქვას, რომ კურორტის მშენებ-
ლობა შეიძლება გაცილებით დაჩქარდეს, თუ მისდამი
ინტერესს გამოიჩენენ სხვადასხვა სამეურნეო და პრი-
ფესიული ორგანიზაციების ხელმძღვანელები და გაშ-
ლიან თავიანთ უწყებათა მუშაკთათვის სანატორიუმები-
სა და დასასვენებელი სახლების მშენებლობას.



შოვის საერთო ხედი

**კურორვ უოვის მინერალური
წყლების ჟიოური ანალიზის
ცხრილები**

(ქიმიკოს შ. შარაშენიძის მიხედვით. 1939, წ.).

	წყარო № 1 (ზის ქვეშ)				წყარო № 2			
	გრამებში	მილიგრამ ექვივალენტი	ექვივალენტი %/%		გრამებში	მილიგრამ ექვივალენტი	ექვივალენტი %/%	
დებიტი=დ'დ	27000	—	—	—	12500	—	—	—
ტემპერატურა	11°	—	—	—	12,5°	—	—	—
მკვრივი ნაშთი ლიტრზე 100°-ზე	2,708	—	—	—	2,108	—	—	—
კატიონები:								
ნატრიუმი Na	—	0,35987	15,6546	32,54	—	0,27935	12,152	32,46
კალიუმი K	—	0,03098	0,7932	1,66	—	0,0253	0,6476	1,72
კალციუმი Ca	—	0,43647	21,7798	45,38	—	0,30462	15,1995	40,58
მაგნიუმი Mg	—	0,11276	9,2688	19,30	—	0,10287	8,4501	22,56
რკინა Fe	—	0,00804	0,2878	0,58	—	0,00710	0,2541	0,68
ალუმინი Al	—	0,00196	0,2159	0,44	—	0,00680	0,7527	2,00
ჯ ა მ ი	—	—	48,0010	100%	—	—	37,4560	100%
ანიონები:								
ჰიდროკარბონატი HCO ₂	—	2,6438	43,3583	90,32	—	1,99836	32,7821	8,752
ქლორი Cl	—	0,0181	0,5104	1,06	—	0,0124	0,3496	0,23
სულფატი SO ₄	—	0,19867	4,1323	8,62	—	0,2079	4,3243	11,54
ჯ ა მ ი :	—	—	48,0010	100%	—	—	37,4560	100%
თავისუფალი CO ₂	2,215	—	—	—	1,905	—	—	—
დ PH	6,1	—	—	—	5,97	—	—	—

	წყარო № 11 (ტურბაზის ქვიშოდ)				წყარო № 8 (ელსადგურის წინ)			
	გრამებში	მილიგრამ ექვივა- ლენტი	ექვივა- ლენტი	ექვივა- ლენტი ‰‰	გრამებში	მილიგრამ ექვივა- ლენტი	ექვივა- ლენტი	ექვივა- ლენტი ‰‰
დებიტი—1 დ/დ	4200	—	—	—	3000	—	—	—
ტემპერატურა	9°	—	—	—	9°	—	—	—
მკრევივი ნაშთი ლიტრზე 110°-ზე	2,475	—	—	—	1,6168	—	—	—
კატიონები:								
ნატრიუმი Na	—	0,3941	17,0780	38,54	—	0,1347	5,8594	19,24
კალიუმი K	—	—	—	—	—	0,0053	0,1366	0,46
კალციუმი Ca	—	0,3260	16,2674	36,74	—	0,4031	20,1146	66,02
მაგნიუმი Mg	—	0,0825	6,7855	15,30	—	0,0370	3,0414	9,98
რკინა Fl	—	0,0099	0,3544	0,80	—	0,0100	0,358	1,18
ალუმინი Al	—	0,0345	3,8204	8,62	—	0,0086	0,952	3,12
ჯ ა მ ი	—	44,3057	44,3057	100%	—	—	30,4610	100%
ანიონები:								
ჰიდროკარბონატი HCO ₃	—	2,2598	37,0607	83,64	—	1,6348	26,8107	88,02
ქლორი Ce	—	0,0335	0,9447	2,14	—	0,0810	2,2842	7,50
სულფატი SO ₄	—	0,3029	6,3003	14,22	—	0,06579	1,3661	4,43
ჯ ა მ ი	—	—	44,2057	100%	—	—	30,4610	100%
თავისუფალი CO ₂	2,165	—	—	—	1,573	—	—	—
PH	5,95	—	—	—	5,96	—	—	—

	წყარო № 3. (ბარისთავზე)				წყარო № 12. (გლოლაში წისკვ. ქვემოთ)			
	გრამებში	მილიგრამ ექვივა- ლენტი	ექვივა- ლენტი ‰‰		გრამებში	მილიგრამ ექვივა- ლენტი	ექვივა- ლენტი ‰‰	
დებიტი - 1 დ/დ	9600	—	—	—	5500	—	—	—
ტემპერატურა	10,2°	—	—	—	11°	—	—	—
მკვრივი ნაშთი ლიტ. 110°-ზე	1,704	—	—	—	2,243	—	—	—
კატიონები:								
ნატრიუმი Na	—	0,13125	5,7084	18,54	—	0,10918	4,7058	13,38
კალიუმი K	—	0,0051	0,1305	0,42	—	0,01145	0,2930	0,84
კალციუმი Ca	—	0,3118	15,5588	50,58	—	0,45867	23,8876	67,90
მაგნიუმი Mg	—	0,1039	8,5405	27,78	—	0,06941	5,7063	16,20
რკინა Fe	—	0,0052	0,1861	0,62	—	0,0067	0,2499	0,70
ალუმინი Al	—	0,0058	0,6320	2,06	—	0,00314	0,3477	0,98
ჯ ა მ ი	—	—	30,7563	100%	—	—	35,1893	100%
ანიონები:								
ჰიდროკარბონატი HCO ₃	—	1,6046	26,3154	85,56	—	2,03514	33,3763	94,85
ქლორი Ce	—	0,0079	0,2227	0,72	—	0,0071	0,2002	0,58
სულფატი SO ₄	—	0,2028	4,2182	13,72	—	0,07754	1,6128	4,58
ჯ ა მ ი	—	—	30,7563	100%	—	—	35,1893	100%
თავისუფალი CO ₂	1,573	—	—	—	1,844	—	—	—
PH	5,98	—	—	—	5,73	—	—	—

	წყარო № 4.				წყარო № 0.410353			
	გრამებში	მილიგრამ ექვივა- ლენტი	ექვივა- ლენტი ‰		გრამებში	მილიგრამ ექვივა- ლენტი	ექვივა- ლენტი ‰	
დებიტი— დ/ლ	—	—	—	—	—	—	—	—
ტემპერატურა	8°	—	—	—	11	—	—	—
მკვრივი ნაშთი ლიტ. 110°-ზე	1,4171	—	—	—	1,411	—	—	—
კატიონები:								
ნატრიუმი Na	—	0,09537	4,1485	19,96	—	0,09138	3,9750	14,30
კალიუმი K	—	0,01546	0,3957	1,42	—	0,01446	0,3714	1,34
კალციუმი Ca	—	0,38572	19,2575	69,44	—	0,38827	19,3756	69,72
მაგნიუმი Mg	—	0,03827	3,1458	11,34	—	0,04013	3,2982	11,86
რკინა Fe	—	0,00558	0,1997	0,72	—	0,005584	0,1997	0,72
ალუმინი Al	—	0,00529	0,5856	2,12	—	0,00519	0,5748	2,06
ჯ ა მ ი	—	—	27,7328	100%	—	27,7947	100%	—
ანიონები:								
ჰიდროკარბონატი HCO ₃	—	1,6412	26,9158	97,06	—	1,6435	26,9514	96,96
ქლორი Cl	—	0,0126	0,3553	1,28	—	0,01212	0,3417	1,22
სულფატი SO ₄	—	0,02216	0,4619	1,66	—	0,02412	0,5016	1,82
ჯ ა მ ი	—	—	27,7328	100%	—	—	27,7947	100%
თავისუფალი CO ₂	1,556	—	—	—	1,545	—	—	—
PH	5,78	—	—	—	5,92	—	—	—

წყარო № 5 (კურორტის პოლიკლინიკის
 წინ.)

		გრამებში	მილიგრამ ექვივალენტი	ექვივალენტი %/o
დებიტი—1 ღ/ღ . . .	12500	—	—	—
ტემპერატურა . . .	9,5°	—	—	—
მკვრივი ნაშთი ლიტ. 110°-ზე	147.12	—	—	—
კატიონები:				
ნატრიუმი Na . . .	—	0,06530	2,8405	10,18
კალიუმი K	—	0,00515	0,1318	0,48
კალციუმი Ca . . .	—	0,40300	20,1098	72,14
მაგნიუმი Mg . . .	—	0,0462	4,0787	14,62
რკინა Fe	—	0,001116	0,0408	0,14
ალუმინი Al	—	0,006158	0,6815	2,44
ჯ ა მ ი	—	—	27,8831	100°/o
ანიონები:				
ჰიდროკარბონატი HCO ₃	—	1,6308	26,3441	97,48
ქლორი Cl	—	0,00758	0,2137	0,76
სულფატი SO ₄ . . .	—	0,063716	1,3253	4,76
ჯ ა მ ი	—	—	27,8831	100°/o
თავისუფალი CO ₂ .	1,515	—	—	—
PH	6,22	—	—	—

	წყარო № 13. (სოფ. გლოლაში ოსეთის სამხ. გზაზე)				წყარო № 7. (ე. ნ. რადიკტი წყალი)			
		გრამებში	მილიგრამ ექვივალენტი	ექვივალენტი		გრამებში	მილიგრამ ექვივალენტი	ექვივალენტი %/0
დებიტი—დ/ლ	2300	—	—	—	—	—	—	—
ტემპერატურა	12,5°	—	—	—	8,5°	—	—	—
მკვრივი ნაშთი 110°-ზე ლიტ. კატიონები:	1,152	—	—	—	0,920	—	—	—
ნატრიუმი Na	—	0,03511	1,5273	7,32	—	0,00439	0,1910	1,12
კალიუმი K	—	0,0081	0,2072	1,00	—	0,00319	0,0816	4,48
კალციუმი Ca	—	0,32436	16,1855	77,66	—	0,14757	7,3647	43,54
მაგნიუმი Mg	—	0,03441	2,8285	13,58	—	0,10800	8,8770	52,50
რკინა Fe	—	0,0005	0,0199	0,10	—	კვალი	—	—
ალუმინი Al	—	0,000656	0,0726	0,34	—	0,00361	0,3996	2,36
ჯ ა მ ი	—	—	10,8410	100°/0	—	—	16,9129	100°/0
ანიონები:								
ჰიდროკარბონატი HCO ₃	—	1,18128	19,3729	92,96	—	0,7764	12,7329	75,28
ქლორი Cl	—	0,01988	0,5606	2,68	—	0,0040	0,1126	0,66
სულფატი SO ₄	—	0,04363	0,9075	4,36	—	0,19554	4,0674	24,06
ჯ ა მ ი	—	—	28,8410	100°/0	—	—	16,9129	100°/0
თავისუფალი CO ₂	0,987	—	—	—	0,501	—	—	—
PH	5,73	—	—	—	6,27	—	—	—

ცხრ. 7.

	წყარო № 6			წყარო № 9				
	გრამებში	მილიგრამ ექვივა- ლენტი	ექვივა- ლენტი ‰‰	გრამებში	მილიგრამ ექვივა- ლენტი	ექვივა- ლენტი ‰‰		
დებიტი — დ'ლ	3500	—	—	—	—	—		
ტემპერატურა	12°	—	—	9,2‰	—	—		
შკვრივი ნაშთი 110°-ზე ლ-ზე	0,7216	—	—	0,932	—	—		
კატიონები:								
ნატრიუმი Na	—	0,0247	1,0750	9,18	—	0,00380	0,2393	1,44
კალიუმი K	—	—	—	—	—	0,00211	0,0540	0,32
კალციუმი Ca	—	0,1088	5,4292	46,40	—	0,14338	7,1547	42,76
მაგნიუმი Mg	—	0,0552	4,5375	38,76	—	0,10877	8,9408	53,44
რკინა Fe	—	0,002	0,716	0,60	—	კვალი	—	—
ალუმინი Al	—	0,0053	0,5918	5,06	—	0,0310	0,3432	2,04
ჯ ა მ ი	—	—	11,7051	100‰	—	—	16,7320	100‰
ანიონები:								
ჰიდროკარბონატი HCO ₃	—	0,5649	9,2643	79,14	—	0,770	12,6280	76,50
კლორი Cl	—	0,0024	6,0676	0,58	—	0,004	0,1128	0,66
სულფატი SO ₄	—	0,1141	2,3732	20,28	—	0,19192	3,9912	23,84
ჯ ა მ ი	—	—	11,7051	100‰	—	—	16,7320	100‰
თავისუფალი CO ₂	0,475	—	—	—	—	—	—	—
PH	6,5	—	—	—	6,24	—	—	—

	ვილოუნგენი			საირმე წყარო № 1					
	გრამებში	მილიგრამ ექვივალენტი	ექვივალენტი %/0	გრამებში	მილიგრამ ექვივალენტი	ექვივალენტი %/0	გრამებში	მილიგრამ ექვივალენტი	ექვივალენტი %/0
დებიტი—დიდ	7600	—	—	—	—	—	—	—	—
ტემპერატურა	11,5 ⁰	—	—	—	—	—	—	—	—
მკვრივი ნაზტი	2,064	—	—	2,128	—	—	—	—	—
კატიონები:									
ნატრიუმი Na	—	0,6744	29,320	42,58	—	0,3943	17,14	45,08	—
კალიუმი K	—	0,0129	0,320	0,46	—	0,0551	1,409	3,74	—
კალციუმი Ca	—	0,3530	17,620	25,058	—	0,2544	12,637	33,64	—
მაგნიუმი Mg	—	0,2584	21,240	30,84	—	0,0792	6,516	17,24	—
რკინა Fe	—	0,0065	0,230	0,32	—	0,0016	0,656	0,16	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—
ალუმინი Al	—	0,0019	0,107	0,16	—	—	—	—	—
ჯ ა მ ი	—	—	68,858	100 ⁰ / ₀	—	—	37,822	100 ⁰ / ₀	—
ანიონები:									
ჰიდროკარბონატი HCO ₃	—	3,0794	50,47	73,30	—	1,9764	32,400	85,68	—
ქლორი Ce	—	0,6336	17,87	25,96	—	0,1632	4,603	12,16	—
სულფატი SO ₄	—	0,0245	0,52	0,76	—	0,0393	0,818	2,16	—
ჯ ა მ ი	—	—	68,86	100 ⁰ / ₀	—	—	37,821	100 ⁰ / ₀	—
თავისუფალი CO ₂	2,551	—	—	—	1,5	—	—	—	—
PH	—	—	—	—	6,6	—	—	—	—

შენიშვნა: საირმეს წყლის შემადგენლობა მოგვიყავს შრომიდან—, Доц. Л. Цискаришвили, с предисловием Проф. А. П. Цулукидзе—, Курорт Саирме и лечебные свойства его минеральных вод. 1937 г. гор. Тбилиси

	ს ა ი რ მ ე წყ ა რ ო № 2				ქ ე ლ ე ბ ნ ო ვ ო დ ს კ ი ს მ ი რ ნ ო ვ ი ს წყ ა რ ო			
	გრამებში	მილიგრამ ექვივა- ლენტი	მილიგრამ ექვივა- ლენტი	ექვივა- ლენტი ‰‰	გრამებში	მილიგრამ ექვივა- ლენტი	მილიგრამ ექვივა- ლენტი	ექვივა- ლენტი ‰‰
დებეტი— დ/დ	—	—	—	—	—	—	—	—
ტემპერატურა	—	—	—	—	—	—	—	—
მკვრივი ნაშთი 110°-ზე	3,893	—	—	—	2,547	—	—	—
კატიონები								
ნატრიუმი Na	—	0,8441	36,705	52,94	—	0,5517	23,990	56,50
კალიუმი K	—	0,0391	1,000	1,44	—	0,0338	0,865	2,04
კალციუმი Ca	—	0,3693	18,434	26,56	—	0,2750	13,751	38,38
მაგნიუმი Mg	—	0,1604	13,161	18,98	—	0,0422	7,470	8,18
რკინა Fe	—	0,0011	0,040	0,06	—	0,00493	0,177	0,42
—	—	—	—	—	—	—	—	—
ალუმინი Al	—	—	—	—	—	0,0003	0,017	0,04
ჯ ა მ ი	—	—	69,340	100%	—	—	42,270	100%
ანიონები:								
ჰიდროკარბონატი HCO ₃	—	3,2330	53,000	76,40	—	1,2411	20,343	47,28
ქლორი Ce	—	0,5035	14,201	20,40	—	0,2506	7,067	16,42
სულფატი SO ₄	—	0,1024	2,124	3,00	—	0,7485	15,584	36,22
ჯ ა მ ი	—	—	—	—	—	0,00074	0,009	0,04
თავისუფალი CO ₂	1,5	—	69,352	100%	1,232	—	43,014	100%
PH	6,8	—	—	—	—	—	—	—

Курорт Шови

Курорт Шови расположен в Верхней Раче, в 147 километрах от города Кутаиси, и в 16 километрах южнее от Мамисонского перевала. Его высота над уровнем Черного моря 1600 метров, широта $42^{\circ} 43'$ и долгота $42^{\circ} 40'$.

Главный путь сообщения с Шови—это живописная автомобильная дорога, которая, начиная от города Кутаиси, тянется вверх по ущелью реки Риони и, пройдя через районный центр г. Они, а затем курорт Уцера и территорию курорта Шови следует дальше и выше через Мамисонский перевал на Северный Кавказ. На всем протяжении этой дороги перед глазами путешественника открываются живописнейшие панорамы величественной природы с многочисленными историческими и естественными памятниками этого края, чрезвычайно богатого разнообразными интересными с туристической точки зрения маршрутами.

Территория курорта Шови и склоны окружающих его громад гор покрыты вековыми хвойными лесами, над которыми горделиво возвышается серия высочайших живописных горных вершин, покрытых вечным снегом, обога-

щающих курорт отраженной ультрафиолетовой радиацией.



Отроги Кавкасиони (Главного Кавказского хребта), на южном склоне которого расположен Шови, вплотную подступая к курорту с северной стороны, служат надежной защитой его от непосредственного воздействия северных холодных воздушных масс.

Климатические данные Шови-(гидрометеоролог Г. Чиракадзе)— прозрачность воздуха, богатая солнечная радиация, невысокая влажность воздуха и хорошая его вентиляция, достаточный тепловой баланс и др., вместе с необычайно живописной величественной природой делают его первоклассной климатической станцией круглогодичного функционирования; этому последнему способствуют особенно благоприятные климатические условия зимы со стационарным снежным покровом, высокой инсоляцией и достаточным тепловым балансом.

Шови по своим природно-лечебным качествам является не только высококачественным климатическим курортом. На его территории имеются выходы на поверхность пока что выявленных и исследованных, 13 источников с значительным дебитом минеральной воды.

По физико-химическим данным и степени общей минерализации, эти воды в основном можно разбить на две группы.

К первой группе относятся углекисло-гидрокарбонатно-калиево-натриевые воды—источники №№ 1, 2, и 11, из коих следует выделить

источник № 11, с значительным содержанием железа (0,0099 гр. на литр).

ЭЛНЦБЭЛН
ЭНЦЭЛНЭЛЭЭ

Ко второй группе относятся углекисло-гидрокарбонатно-кальциевые воды—источники №№ 3, 4, 5, 8, 10, 12 и 13, из них особое место занимает источник № 8, который по содержанию железа стоит выше всех других источников (0,010 гр. на литр) и его следует называть железистым источником. Что же касается остальных источников (№№ 6, 7 и 9), то вода их, являясь весьма слабо минерализованной, не используется с лечебной целью, а применяется для питья, как приятная, мягкая, пресная вода.

По своим физико-химическим свойствам минеральные воды Шовских источников в основном являются аналогами знаменитых минеральных вод Вильдунген (Германия), а также близко стоят они к нашим железноводским, саирмским и цагверским источникам.

Исходя из лечебных свойств означенных минеральных вод, курорт Шови является одновременно и высокоценным бальнеологическим курортом.

В результате проведенных научных работ по изучению влияния климата и минеральных вод курорта Шови на течение различных заболеваний, установлено, что климат Шови дает высокий, лечебный эффект при ряде заболеваний — при вторичном малокровии, туберкулезе лимфатических желез, сухом плеврите, бронхите, начальных фиброзных формах легочного туберкулеза, бронхиальной астме,

хронической (скрытой) малярии, реконвалесценции, при функциональных заболеваниях нервной системы и др.

Минеральная же вода шовских источников хорошо зарекомендовала себя при ряде заболеваний желудка и кишок, печени, желчных и мочевыводящих путей и т. д.

При заболеваниях желудка и кишок эта минеральная вода, в зависимости от кислотности желудочного сока, назначается при повышенной кислотности по чайному стакану 3 раза в день за 1—1½ часа до еды, подогретая (до 30-35°) и дегазированная, а при пониженной кислотности в естественном виде по чайному стакану вместе с пищей или за 10-15 минут до еды. Как известно из наблюдений, в первом случае щелочная минеральная вода, переходя из желудка в двенадцатиперстную кишку, с поверхности ее слизистой оболочки рефлекторно тормозит функцию секреторного аппарата желудка, вследствие чего понижается как выделение желудочного сока, так и его кислотность; во втором случае эта же минеральная вода, принятая вместе с пищей, повышает количество желудочного сока и ее кислотность, так как образующиеся в результате реакции, между соляной кислотой желудочного сока и гидрокарбонатом, хлористый натр и углекислый газ возбуждают желудочную секрецию.

Отсюда понятна рациональность приема шовских минеральных вод за 1—1½ часа до еды при заболеваниях, сопровождаемых повышением кислотности желудочного сока, и на-

оборот, приема ее вместе с пищей при субацидных заболеваниях.

Шови достопримечателен как высококачественный климатический и одновременно в неменьшей степени важный бальнеологический курорт. Это дает возможность лечения на этом курорте комбинированных заболеваний. Но нужно считать, что Шови в первую очередь является климатическим курортом и туда должны направляться в первую очередь больные, нуждающиеся в климатическом лечении, одновременно с заболеваниями, требующими лечения минеральными водами в виде питья или ванн.

Шови молодой курорт, рожденный и выросший только лишь после установления в Грузии советской власти. Два десятилетия тому назад территория настоящего курорта представляла из себя пустую поляну, окруженную дремучими лесами.

Несмотря на свою молодость, этот курорт теперь уже располагает довольно значительной сетью лечебно-профилактических курортных учреждений: санатории, дома отдыха, поликлиника со всеми лечебно-диагностическими кабинетами, с достаточным на первое время жилфондом, гостиницей, водопроводом, электростанцией, канализацией, почтой и телеграфом, диет-столовой, турбазой и другими объектами курортного значения.

Институтом курортологии Грузии уже закончено составление проекта генеральной планировки курорта Шови, который готов для

представления в Совет Министров Грузинской ССР на утверждение.

На базе проведенных Институтом курортологии Грузии работ экспериментального и клинико-практического характера выработаны показания и противопоказания для лечения больных на этом курорте.

ПОКАЗАНИЯ ДЛЯ ЛЕЧЕНИЯ НА КУРОРТЕ ШОВИ:

1. Закрытые фиброзные формы легочного туберкулеза (не бациллярные).
2. Сухой плеврит.
3. Хронический бронхит.
4. Эмфизема легких (легкие формы).
5. Бронхоэктазии без кровохаркания.
6. Бронхиальная астма (легкие формы).
7. Малярия.
8. Вторичное малокровие, хлороз.
9. Реконвалесценты.
10. Неврастения (легкие формы).

Заболевания комбинированные с вышеперечисленными

11. Хроническая язва желудка и двенадцатиперстной кишки.
12. Хронический гастрит.
13. Хронические холециститы, гепатиты и холелитиазы вне закупорки желчных путей.
14. Хронические воспаления мочевыводящих путей (воспаления почечных лоханок, мочевого пузыря и пр.)

პ რ О Т И В О П О К ა ჯ ა ნ ი ა



1. Заболевания сердца и сосудов в стадии декомпенсации и субкомпенсации.
2. Открытые формы туберкулеза легких, костей и лимфатических желез.
3. Тяжелые формы неврастении и истерии.
4. Тяжелые формы гипертонии.
5. Все заболевания, противопоказанные для лечения на курортах (в особенности на высокогорных курортах).

Примечание: Дальнейшее углубленное изучение влияния климато-бальнеологических факторов курорта Шови на больной организм, даст возможность уточнить и расширить показания для лечения больных на этом курорте.

3/8გ. რედაქტორი მ. ნოდია.


ბელმოწერილია დასაბეჭდათ 30/I 48 წ.

შეკვეთა № 967. ტირაჟი 2000. სტ. 00831

ანაწყოების ზომა 5X8¹/₂

ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 475

სააღრიცხვო ფორმათა რაოდენობა 37



ფანი 4 მან.

12872



50/201.

დ-რ ვ. გასვიანი
КУРОРТ ШОВИ

(На груз. языке)

საბჭოთა დგია
Тбилиси
1948

პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



K 59.892/2